# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 სექტემბერი, 2011 წელი.

№179 (6810)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ვარდისფერი ფაშიზმი



## ახლა გამოჩნდება, რანი ვართ

4 კართაგენი უნდა დაინგრეს!

## სტურუა რჩება!

### ოპტიმალური ვარიანტი ჩემი ცხოვრების – შენთვის სიცოცხლე, შენთვის სიკვდილი!

რამდენიმე დღეა, თეატრალური თბილისი რუსთაველის თეატრის სპექტაკლით – „ნადირობის სეზონით“ სუნთქავს, მაყურებელმა ნახა ბრწყინვალე მწერლის თამაზ ჭილაძის პიესა ხელისუფლებისგან „განკიცხული“ ბრწყინვალე რეჟისორის რობერტ სტურუას დადგმით... და უკვე ყვებიან, რომ გამოვიდა საუკეთესო სპექტაკლი, რომ რობიკომ ერთხელაც დაამტკიცა თავისი დიდებულება და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მაგრამ რაც გუშინ დილით ქალაქში ხმა დაირხა, ამას, შეიძლება ითქვას, ალარავინ ელოდა: **კვირა სალამოს, სპექტაკლის შემდეგ, „განკიცხული“ რობიკო სტურუა, რომელსაც უკვე თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოდან წასვლა, გამოვიდა სცენაზე და ხალხით გადაჭედილ დარბაზს აუწყა, მიუხედავად ყველაფრისა, მე შევიცვალე გადაწყვეტილება და საქართველოში, ჩემს მშობლიურ თეატრში ვრჩებიო... საზოგადოება ალტაცებით შეხვდა ამ სიტყვებს...**

ეგრე, რობიკო, დიდო მამულიშვილო და დიდო ხელოვანო! რა თქმა უნდა, საუკეთესო გადაწყვეტილებაა... და მე მახსენდება პოეტის სტრიქონები სამშობლოსადმი: „ოპტიმალური ვარიანტი ჩემი ცხოვრების – შენთვის სიცოცხლე, შენთვის სიკვდილი“.

ვილენ მარდალეიშვილი

Iს. 9 გვ.



სპექტაკლის შემდეგ

დემიკო ლოლაძის ფოტო.

## ეთნიკური ცნობიერების ანაქრონიზმი და ეროვნული ცნობიერების დეფიციტი 6

## ზურაბ აბაშიძე:

## დგება ჟამი, როდესაც პოლიტიკოსის ყველა მიღწევა წარუმატებლობად იქცევა

5



## პუტინი ისევ პრეზიდენტად?



8

## მთავრობა ბახმაროს ეპატრონება

3

## მასწავლებელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს

## შეშის დამზადება და შინ მიტანა გაძვირდა!

2



## ძვირფასო მკითხველო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელ ნომერს თან ახლავს გამოჩენილი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის „რჩეული“, გამოცემული „ქართული სიტყვიერების“ მიერ.

იჩქარეთ, ტირაჟი შეზღუდულია!

## ⊙ ინფორმაცია

### ბადრი ბიწაძე ჟურნალისტებმა ვენაში გადაიღეს

ქართულმა მედიამ ძებნილი, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ბადრი ბიწაძის ვენაში გადაღება მოახერხა. ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის" ინფორმაციით, ბიწაძე მეუღლესთან, ნინო ბურჯანაძესთან და შვილთან ერთად სასტუმრო „გრანდ-ოტელში" იმყოფებოდა.



ბადრი ბიწაძე ჟურნალისტებთან საუბარს მოერიდა და კამერებისთვის თავის არიდებაც სცადა. მან უპასუხოდ დატოვა კითხვა მისი საცხოვრებელი ადგილის შესახებაც. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოდან გაქცევის შემდეგ ბადრი ბიწაძე რუსეთში იმყოფებოდა.

შეგახსენებთ, რომ ბადრი ბიწაძეს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის ბრალდებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად 5,6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ბიწაძის ადგილსამყოფელი 26 მაისის შემდეგ უცნობი იყო.

### ლეიბორისტებმა ნიუ-იორკში აქცია გამართეს

ლეიბორისტებმა ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინასთან მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია გამართეს. 22 სექტემბერს გამართული აქციის დეტალებზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მისი განცხადებით, საპროტესტო აქციას, რომელიც გაეროს ტრიბუნაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის პარალელურად მიმდინარეობდა, რამდენიმე ათეული ქართველი ემიგრანტი დაესწრო.

აქციის მონაწილეები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისგან მიხეილ სააკაშვილისთვის სანქციების დაწესებას მოითხოვდნენ.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კახა ძაგანიამ ნიუ-იორკში გამართული აქციის ამსახველი ვიდეომასალაც წარმოადგინა, ასევე, ქართული ტელეარხები გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ არც ერთ ქართულ არხს აქცია არ გაუშუქებია.

### რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს მოქალაქეს 1 ტონა თხილი ჩამოართვეს

რამდენიმე დღის წინათ რუსმა ოკუპანტებმა აფხაზეთის მკვიდრ ამირან გითოლენდიას 1 ტონა თხილი ჩამოართვეს. ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთიდან იტყობინებიან.

— ოჯახმა თხილის გაყიდვა ქართველების კონტროლირებად ზუგდიდში გადავწყვიტეთ და ერთი ტონა თხილის გადმოტანას ენგურის გავლით შევეცადეთ, თუმცა ოტობაიაში გახსნილ საგუშაგოზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი რუსი ჯარისკაცები დაგხვდნენ და თხილი ჩამოგვართვეს. ადრე თუ მსგავსი ფაქტების დროს ჯარიმას გვაკისრებდნენ, ამჯერად ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამოგვიშვეს უკან, რაც მთავარია თხილი დაიტოვეს, — განაცხადა დაზარალებულმა.

მომხდარის შესახებ არაფერი იციან სამეგრელო-ზემო სვანეთში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის წევრებმა.

ХО-ЭОВ-ЭБО

## ⊙ პარტიებსა და მოძრაობებში

### პარტია „საქართველოს გზის" განცხადება

**პარტია „საქართველოს გზის" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ მამუკა ბალიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „თბილისის მერიის მიერ და თბილისის ტერიტორიაზე არსებული პოლიკლინიკების გაყიდვის ფაქტები".**

იმის გარდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ყიდიან პარკებსა და სკოლებს, ამ ჩამონათვალს საავადმყოფოები და კლინიკებიც მიემატა.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მერიას დაჩქარებული ტემპით აუქციონზე გააქვს თბილისის მასშტაბით პოლიკლინიკები.

გაყიდვის პროცესი გრძელდება და მორიგი აუქციონი 6 ოქტომბერს ჩატარდება.

მამუკა ბალიაშვილის განცხადებით, როგორც საქართველოს ხელისუფლებას სჩვევია პოლიკლინიკების მყიდველთა ვინაობას საზოგადოებას არ უმხელენ.

„რამდენიმე დღის წინათ „ალიას" ჟურნალისტთან ერთად ვიმყოფებოდი რამდენიმე გაყიდულ პოლიკლინიკაში. ერთ-ერთის დირექტორისგან, ვლადიმერ ზარდალიშვილისგან გავიგეთ, რომ კომპანია „ავერსმა" და „პეესპემ" შექმნეს ფინანსური ჯგუფი, რომელმაც მოახდინა თბილისის მასშტაბით ყველა პოლიკლინიკის შესყიდვა", — განაცხადა მამუკა ბალიაშვილმა.

„ავერსი და პეესპე", ქართულ ბაზარზე, ხელისუფლებასთან დაახლოებული კომპანიები არიან, რომელთა ხელშიც მოექცა ჯანდაცვის სისტემის ყველაზე მსხვილი ნაწილები. საავადმყოფოები, აფთიაქები, ქარხნები, სამშობიაროები, კლინიკები და დღეს პოლიკლინიკებსაც ეს კომპანიები ყიდულობენ.

„საქართველოს გზა" მოითხოვს, რომ ეს პროცესი გახდეს გამჭვირვალე და სამართლიანი. ისინი ამომწურავ პასუხს მოითხოვენ მერიისგან და მოითხოვენ ინფორმაციას საჭირო მიწოდებაზე თითოეულ გაყიდულ და გასაყიდ ლოტზე.

**ირინა ოზოლაშვილი**

## ⊙ სურსათის ხარისხი აღმაშფოთებელია!

### ვინ უნდა დაიცვას მომხმარებელთა უფლებები?!

**სურსათის უვნებლობისა და ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე, სასტუმრო „ამბასადორში" „გასტრონომია იოლის" ორგანიზებით კონფერენცია-სემინარი გაიმართა, რომელსაც „იოლის" ხარისხის მართვის მენეჯერი ვაივა დიძიოკაიტე-ვაიტკევიჩიენე უძღვებოდა. კონფერენციას სურსათის ეროვნული სააგენტოს, კომპანიების: „ნიკორას", „გუდვილისა" და „იოლის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

ქალბატონი ვაივას მისასალმებელი სიტყვის შემდეგ სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა გიორგი მიქაძემ ისაუბრა ბიზნეს-ოპერატორების, მწარმოებელ-დისტრიბუტორების მოვალეობა-ვალდებულებებზე, მომხმარებელთა უფლებებსა და სურსათის უვნებლობაზე...

— ბიზნეს-ოპერატორებთან ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობით დავიცავთ მომხმარებელთა უფლებებსა და ჯანმრთელობას. მრავალი პრობლემაა, პროდუქციის ხარისხი არ შეესაბამება ნორმატიული აქტების მოთხოვნის პირობებს. მწარმოებლებთან განვიხილავთ ყოველივეს და ვაძლევთ შესაბამის რეკომენდაციებს.

ნებისმიერი ხარისხის სურსათი უნდა აკმაყოფილებდეს უვნებლობის პირობებს. ჩვენი მიზანია მწარმოებელთა ინფორმირება და სიტუაციის გაუმჯობესება თანამშრომლობის გზით.

საწყის ეტაპზე ჩვენი სამსახური გაფრთხილებით შემოიფარგლება, ხოლო სიტუაციის გამოუსწორებლობის შემთხვევაში შესაბამის ადმინისტრაციულ ღონისძიებებს მივმართავთ — განაცხადა გიორგი მიქაძემ, რომელმაც მეწარმეებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა.



როგორც გაირკვა დედაქალაქში ინსპექტირება უკვე დაიწყო.

სემინარი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ბიზნეს-ოპერატორების კითხვებს სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი პასუხობდა.

— ქვეყანაში კატასტროფული ვითარებაა. ჩვეულებრივ მაღაზიებში პროდუქციაზე მითითებული არ არის გამოშვებისა და ვარგისიანობის ვადა, მწარმოებლის ვინაობა, შემცველობა, დარღვეულია შენახვის პირობები და ა. შ. პრობლემა თვალშისაცემია, რამაც გადამაწყვეტინა ამ თემებზე მწარმოებელ-დისტრიბუტორებთან გადაჭრის გზებზე გვესაუბრა და ხარისხის სტანდარტი, რასაც აქ მყოფი მეწარმეები სთავაზობენ მომხმარებლებს, კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა — განაცხადა ვაივა დიძიოკაიტემ.

ჩვენთვის ამ კონფერენციაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. მსგავსი შეხვედრა ხელს შეუწყობს ინფორმირების დონის ამაღლებას. შიდა სტანდარტების მიუხედავად საინტერესოა ბაზარზე არსებული ვითარების გაცნობა. დაგვიგროვდა კითხვები, რომელზეც პასუხს სიამოვნებით მოვისმენთ, — განაცხადა „გუდვილის" ხარისხის სამსახურის უფროსმა ლევან ჩიტეიშვილმა.

**გულნაზ გახარია**

## ⊙ დაზეჩავებული მოსახლეობა

### შეშის დამზადება და შინ მიტანა გაძვირდა!

**მოსახლეობისთვის შეშის მოჭრის წესები თითქოს გამარტივდა, მაგრამ ამასობაში შეშა გაძვირდა. ამის მიზეზი ბევრნაირია. ჯერ ერთი, რომ საშეშე მასალის გამოტანა მოსახლეობას მიუდგომელი ადგილებიდან უწევს, გარდა ამისა ტყეში შესვლის ნებართვა გვიან გაიცა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამ ეტაპზე ხარისხიანად დამზადებული შეშის დეფიციტია. ამას იტყობინება presage.tv.**

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის ნინო ენუქიძის ინფორმაციით, 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ახალი წესები, რომლითაც მოსახლეობა შეშის მოპოვებისას ზოგიერთი შეზღუდვისგან გათავისუფლდა. „თუ ადრე ადამიანს შეეძლო მხოლოდ გარკვეული რაოდენობის შეშის მოჭრა, ახლა ეს შეზღუდვა აღარ არსებობს და სოფლის მოსახლეობა იმდენ შეშას მოჭრის, რამდენიც სჭირდება", — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ენუქიძის განმარტებით, ნებისმიერი მსურველისთვის ერთი წესი მოქმედებს: მსურველი 1 კუბურ მეტრ შეშაზე ბანკში იხდის 6 ლარს (3 ლარი მომსახურების, 3-მოსაკრებელი) და სპეციალურად გამოყოფილი სოციალური ტყეკაფიდან შესაბამისი ოდენობის შეშა გამოაქვს. ამასთან, შეშის მოჭრის დრო შეზღუდული არ არის. შესაბამისი ბარათის აღების შემთხვევაში მომხმარებელს შეშის მოჭრა სასურველ დროს შეუძლია.

„ადრე მოსახლეობას მხოლოდ 7 კბ.მ შეშის ყიდვის უფლება ჰქონდა. მაღალმთიან რეგიონებში კი, პრეზიდენტის ბრძანებით, სადაც მკაცრი ზამთარია, უფრო მეტი რაოდენობის შეშის ყიდვაც შეეძლოთ. პრეზიდენტის საჩუქარი, რომელიც 2007 წლიდან 2012 წლამდე შეშის ვაუჩერით სარგებლობას ითვალისწინებს, კვლავ ძალაში რჩება", — აცხადებენ ენერგეტიკის სამინისტროში.

მართალია, ლიმიტის მოხსნას ცენტრალურ უწყებაში ერთ-ერთ წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ, მაგრამ გლეხებისთვის, როგორც თავად ამბობენ, ძალიან მცირე შეღავათია. მოსახლეობას საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეშის დამუშავებასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს.

მათი უმრავლესობა ტყიდან საშეშე მასალის გამოტანას დამოუკიდებლად ვერ ახერხებს და მუშების დაქირავება უწევს, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება. საშეშედ გამოსაყენებელი ხეები სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ტყეში არჩეული და დანომრილია. დაბლობ ადგილებზე ტყეების ძირითადი ნაწილი გაჩეხილია, ამიტომ მოსახლეობას მაღალ მთებში უწევს ასვლა.

ტრანსპორტი, რომლითაც შეშის გამოტანა ხდება, ძირითადად,



მოძველებული, რუსული სატვირთო მანქანებია. გარდა ამისა, ტყეში მისასვლელად მოსახლეობას საწვავი და საჭირო ხელსაწყოებიც სჭირდება. ეს ყველაფერი კი საბოლოო ჯამში, დაახლოებით 500 ლარამდე ადის.

რეგიონების ნაწილში შეშა დაახლოებით 10-15 პროცენტითაა გაძვირებული. მოსახლეობის ინფორმაციით, თუ შარშან ერთი მანქანა შეშის ყიდვა შიდა ქართლში 550-600 ლარად იყო შესაძლებელი, წელს მისი ღირებულება 650-700 ლარია. სათბობი შეშის ფასი ასევე გაიზარდა იმერეთში. შარშან ამავე პერიოდში იქ ერთი მანქანა შეშა 350 ლარი ღირდა, წელს კი 400-450 ლარამდე გაძვირდა. შარშანდელთან შედარებით შეშა ორჯერ გაძვირდა ქუთაისში და წელს მისი ფასი დაახლოებით 600-700 ლარია.

მოსახლეობის მტკიცებით, ისინი ვერც პრეზიდენტის ინიციატივით დარიგებულ შეშის ვაუჩერებს იყენებენ, რადგან მათი განმარტებით შეშის მოჭრა და ტრანსპორტირება ძვირია. ვაუჩერით სარგებლობას ვერც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები ახერხებენ და ბევრს კუთვნილი ვაუჩერის გაყიდვაც უწევს.

**გიორგი ბექაური**

შესხმა სექსისა

# ქალბატონო მაია, თქვენ განგიცდიათ ორგაზმი?

**ძალიან საგულისყურო და საჭირბოროტო კითხვა გახმიანდა რუსთავი 2-ის ყველაზე „რეიტინგულ“ გადაცემა „პროფილში“.**

გახმიანდა და „მთელმა“ საქართველომ „შვებით ამოისუნთქა“.

როგორც იქნა, დავადგინეთ!

დავადგინეთ, თუ სად გადის ქართული დემოკრატიისკენ მიმავალი გზა!

უი, „რავალი ტყვილა“ წვალობენ ეს ე.წ. „ოპოზიციონერები“.

„რავალი ტყვილა“ აწყობენ „მარშებს“, „რისხვის დღეებს“ და სხვადასხვა სახის მიტინგებს.

„რავალი ტყვილა“ „ქიჩმაჩობენ“ უაზროდ!

თურმე ქართული დემოკრატიისკენ მიმავალი გზა გაზეთი „ძინ-ძინით“ იწყება და ჟურნალ „პლეი-ბოით“ სრულდება.

თურმე ამ გზის „შუქურა“ „პლეიბოი“ ყოფილა!

როგორც იქნა გავიგეთ და შვებით ამოვისუნთქეთ.

უჰ, მაიკო ასათიანო, მიშა მშვილდაძევ, ნინა წკრიალაშვილო, „პედარასტო“ (გვარი და სახელი არ მახსოვს, მაგრამ მაინც, და ყველა თქვენნაირო, ყოჩაღთ!!! როგორც იქნა დავიწყე ქართული დემოკრატიისკენ მიმავალი გზა!!!!

რა არჩევნები, რის სამოქალაქო საზოგადოება, რომელი გამჭვირვალობა, თურმე გზა, რომელსაც „დემოკრატიისკენ“ მივყავართ, „პლეიბოიზე“ „განავალა“ (ბოდიშს ვიხდი ამ უხერხული სიტყვისთვის) და სად მიდის, კაცმა არ იცის.

როგორც იქნა მივხვდით, რომ საქართველოში „დემოკრატია“ და „სექსი“ არ გვცოდნია.

არ გვცოდნია და ჯერ ამ ფრაზის დასადგენად უნდა „ვისწრაფოდ“ (მერე მისაღწევად).

როგორც იქნა, „მივხვდით“, რომ „ორგაზმიც“ უცხო ხილი ყოფილა ქართველებისთვის (იქნებ ეგეც გავიგოთ რამენაირად. პრინციპში ამას არჩევნების მერე გავიგებთ).

ისე, რა მინდა ვიკითხო: — ქალბატონო მაიკო, თქვენ თუ განგიცდიათ ორგაზმი?

რა, პასუხის გაცემა გერიდებათ?

გრცხვენიათ?

მოდით და ჯერ თქვენ გვიპასუხეთ და მერე ჰკითხეთ სხვებს!

მე, გია გაბრიჭიძე ახლა ზუსტად ისე გეკითხებით, როგორც თქვენი გადამღები ჯგუფის წევრები ეკითხებოდნენ ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებს:

— მაიკო, სიტყვა ორგაზმი იცით რას ნიშნავს?

— ოდესმე განგიცდიათ?

— გნებავთ განიცადოთ?

პასუხი იქნება?

ჰო, კიდევ მინდა იმ ე.წ. „ექსპერტს“ მივმართო.

იმ „ექსპერტს“, რომლის დანახვაზეც ნებისმიერი „ცირკის პუტანკა“ იტყოდა — „9 რომ მქონდეს, ერთსაც არ დავანახებდიო!“

— თქვენ იცით, რას ნიშნავს სიტყვა „ორგაზმი“?

რატომ წახვედით გურიაში?

რატომ წახვედით სვანეთში?

რატომ დახარჯეთ ამდენი ფული გზაში?

იქვე, თქვენთან, ტელევიზიაში გეკითხათ.

რამდენმა იცის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

მოდით, ამ რიტორიკას თავი დავანებოთ და ერთი მართლაც, საინტერესო კითხვა „დავსვათ“!

რატომ?

ჰო, რატომ გააკეთეთ ეგ გადაცემა იმ უბედურ ადამიანზე?

იმ მართლაც და უბედურ ადამიანზე.

რაო, შეგიკვეთეს?

უფრო სწორად რომ ვთქვა, კი არ შეგიკვეთეს, — დაგავალეს!!!!

დაგავალეს ამ გადაცემის „გაკეთება“ ზუსტად იმ დღეს, როცა გადაცემა „შუა დღეში“ მარიხუანას ლეგალიზებაზე საუბრობდნენ.

თქვენი გადაცემისგან განსხვავებით, მარიხუანაზე საკმაოდ კომპეტენტური ადამიანები საუბრობდნენ.

ადამიანები, რომლებსაც ნარკოტიკების მავნებლობის შესახებ წმინდა სამედიცინო ინფორმაცია გააჩნიათ.

მაგრამ მოხდა ძალიან „საინტერესო“ რამ.

მათი მეშვეობით ე.წ. „მსუბუქი“ ნარკოტიკების ლეგალიზაციის „გაპიარება“ მოხდა.

თქვენი საშუალებით კი ე.წ „სექსუალური უმცირესობის“ „უფლებების“ საზოგადოებამდე მიტანა გახდა შესაძლებელი..



გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, მართლა გაწუხებთ იმ არანორმალური ადამიანის ბედი?

მე ხომ ვიცი, რომ ჩემი არ იყოს, ის ბედუკუღმართი სულ „ცალ ფეხზე გკიდიათ“.

სულ „ცალ ფეხზე“ და ხვალ რომ მოვიდეს 20 ლარის სათხოვნელად, ზედაც არ შეხედავთ.

ჰოდა რად გინდოდათ, რას ერჩოდით?

თანაც როგორ „შეფუთეთ“?

მაგრად.

თანაც ისე, რომ აღმოჩნდა, თურმე საქართველოში სექსი არ გვცოდნია.

უი, რა გვეშველება!

არადა თუ რამე ვიცით, ეს ნამდვილად ვიცით!

ვიცით და შეგვიძლია!

თანაც ისე ვიცით, რომ სხვებსაც შეგვიძლია ვასწავლოთ.

თქვენმა შემკვეთებმა კი საპირისპიროს დამტკიცება სცადეს.

სამწუხაროდ, მათ „ეჭვი ჩააგდეს“.

ისე გვაჩვენეს, რომ „წეროები“ და „კომბოსტო“ ჩვენი ეკონომიკის და დემოგრაფიის მთავარ მამოძრავებელ ძალად დავინახეთ.

არადა ეს ხომ უმარტივესი პიარია!

**ჰოდა თუ იმ პიარ კამპანიას, რომელიც საქართველოში ტურიზმის „განვითარებას“ ეხება, ამ „პროფილს“ დავამატებთ, შესაძლებელია, რომ უმარტივესი დასკვნა გაკეთდეს: — საქართველო უნდა გადაიქცეს ახალ კუბად, ან ჰოლანდიის „განმეორებად“.**

დიახ, იმ კუბად, რომელიც ამერიკამ დაკარგა ჯერ კიდევ 1959 წელს და რომელიც ვერ მოუნელებია.

იმ კუბად, სადაც ყველაზე მეტი და ყველაზე იაფი მეძავი იყო.

იმ კუბად, სადაც ექიმი თუ ინგლისურად არ ლაპარაკობდა, პრაქტიკა არ ჰქონდა (იხილეთ მხატვრული ფილმი „ნათლიმამა“. ფრაზა, რომელსაც ამბობს საიმონ როდი).

ამ „პოლიტიკიდან“ გამომდინარე, **აქ უნდა იყოს „პლანიც“, „პედერასტებიც“, „პუტანკებიც“ და ყველაფერი ის, რაც ამერიკული კოლონიის იერსახეს შეესაბამება.**

თავს უფლებას ვაძლევ, რომ პირდაპირ განვაცხადო: — **ის გადაცემები, რომლებიც ქართველთა სექსუალურ „აღზრდას“ ემსახურება, არის წინასწარ მოსამზადებელი სამუშაო, იმ ახალი კანონისთვის, რომელსაც აკაკი მინაშვილი, დავით დარჩიაშვილი, პალიკო კუბლაშვილი და ძმანი მათნი მიიღებენ.**

ეს გადაცემები არის მოსამზადებელი „სამუშაო“ იმ ახალი კანონისთვის, რომელიც გიგი მანიას „ქორწინების“ უფლებას მისცემს.

იმ ახალი კანონისთვის, რომელიც უკვე სისხლის სამართლის კოდექსით დასჯის იმ მართლა კარგ კაცებს, რომლებმაც თუშეთში „დასავლური“ „სხივი“ ვერ აიტანეს.

იმ ახალი კანონისთვის, რომელიც „გააჯეჯილებს“ ბურჭულაძეების და დეისაძეების მსგავს მწერლებს.

არადა ერთი ძალიან საგულისყურო ფრაზა გახმიანდა ხუთშაბათის „პროფილში“.

ერთმა მოხუცმა კაცმა, პირდაპირ უთხრა გადამღები ჯგუფის წევრს: — ჩვენო „პლეიბოი“ არ გვქონდა, მაგრამ ბანქო გვქონდა შიშველი ქალების გამოსახულებითო.

თუ ამ იდიოტების აზროვნებით ვიმსჯელებთ, მაშინ დემოკრატია ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ყოფილა!

და რაც შეეხება „სექსს“:

მე ლენინგრადში 6 წელიწადი ვიცხოვრე.

ვცხოვრობდი!

ასე რომ ვერც მიშა მშვილდაძე, ვერც „ყოფილი ცოლები“ და ვერც მაიკო ასათიანი ვერ მასწავლიან, თუ რა არის მამაკაცის და ქალის ურთიერთობა.

ისე, რა მაგის პასუხია და, თუ იმ „კლუბს“ და მაიკოს „ნამეტნავად“ სჭირდებათ, „კონსულტაციას“ გავუწევ!

არადა დამიჯერეთ, რომ გზა ქართული დემოკრატიისკენ ნამდვილად არ გადის არც გაზეთ „ძინ-ძინზე“, არც ჟურნალ „პლეიბოიზე“.

არ გადის არც იმ იდიოტურ მალაზიაზე, რომელიც იმიტომ დაიხურა, რომ საქართველოში ამ მიმართულების ავადმყოფები არ ცხოვრობენ!

დემოკრატია სულ სხვაა.

დემოკრატია ნამდვილად კარგია.

კარგია და აუცილებელი, მაგრამ ისინი, ვინც გვეუბნება, დემოკრატია იმ ყოვლად უგვანო ფორმით უნდა დამკვიდრდესო, ამ მართლაც და ბრწყინვალე ფრაზის, ადამიანთა ურთიერთობის ამ ბრწყინვალე ფორმის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები არიან!

**გია გაბრიჭიძე**

საზღვარი

## მასწავლებელს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს

ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელს ელიზათ საფაროვას, ლაგოდეხთან, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ქართული სახელმძღვანელოები ჩამოართვეს, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.



საფაროვამ კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ ინციდენტი გუშინ, გამთენიისას მოხდა. აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა მას მეორე კლასის ქართული სახელმძღვანელოები, მათემატიკის სახელმძღვანელოს 54 ეგზემპლარი და ქართული სამუშაო რვეულები წაართვეს.

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე წუხელ ლაგოდეხთან, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარ ინციდენტზე საგარეო უწყებას დაუყოვნებლივ რეაგირებას სთხოვს.

„ინტერპრესნიუსს“ დიმიტრი ლორთქიფანიძემ განუცხადა, რომ გამთენიისას, ზაქათალას რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის ქართული სექტორის დაწყებითი კლასების მასწავლებელი ელიზათ საფაროვა დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა.

მასწავლებლის განცხადებით, ეს ქმედება მიმართულია ქართული სექტორების დახურვისკენ იმ საბაბით, რომ ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები არ არსებობს.

**ნატა ნიბლაძე**

აქცია

## ადვოკატთა კორპუსს დევნიან

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის შეწყვეტის მოთხოვნით ფართომასშტაბიანი აქციების გამართვას გეგმავს. აქცია გუშინ საქალაქო სასამართლოსთან გაიმართა. საპროტესტო აქციების დაწყება ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის 16 სექტემბრის სხდომაზე გადაწყდა, სადაც ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

„16 სექტემბერს გაიმართა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის საგანგებო სხდომა, რომელზეც ადვოკატ ტარიელ მურმანაშვილის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ. მურმანაშვილს პროფესიული მოვალეობის სრულყოფილად შესრულებისათვის, ანუ მოგებული საქმისთვის დევნიან. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერისა, გრძელდება ადვოკატთა ტერორი, ირღვევა როგორც ადვოკატების, ისე მათი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების უფლებები“, — განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის განცხადებით, ადვოკატთა კორპუსის დევნა უპრეცედენტო მასშტაბებს იღებს.

„საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მიუხედავად, გრძელდება ადვოკატთა ტერორი. ირღვევა როგორც ადვოკატის, ასევე მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების უფლებები. საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომ დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები და გამოსვლები,“ — აცხადებენ ასოციაციაში.

**შორენა თამარაშვილი**

SIC!

## მთავრობა ბახმაროს ეპატრონება

პრესაგე.ტვ-ის ინფორმაციით, 26 სექტემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალია და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ეწვივნენ. მინისტრების სტუმრობის მიზეზი ბამხაროს განვითარებაა, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ ისაუბრა.

„პირველ რიგში მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, აშენდება თანამედროვე ტიპის სასტუმროები, გაკეთდება საბაგირო და სათხილამურო ტრასები. ბახმარო არ ჩამოუვარდება ანაკლიას, სიღნაღს, მესტიას. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი მთელ საქართველოში“, — აღნიშნა ჩვენთან საუბრისას რამაზ ნიკოლაიშვილმა.

ბახმაროს განაშენიანების გეგმის თანახმად, რომელიც მერაბ ჩხენკელმა შეადგინა კურორტზე მხოლოდ ფეშენებლური სახლები იქნება, ხოლო ძველი კოტეჯები დაინგრევა.

გურულები შიშობენ, რომ მათი ადგილი იქ არ იქნება. ამის ფიქრის საფუძველს, კი სააკაშვილის №525 ბრძანებულების შეჩერება გახლავთ, რომლის თანახმადაც საკრებულოს ლეგალიცაზიის კომისია თვითნებურად დაკავებულ მიწებს აკანონებდა. თუმცა, ბოლო რამდენიმე თვეა ეს ბრძანება არ სრულდება. როგორც საკრებულოს წევრები პირად საუბრებში ამბობენ, აღარც დაკანონდება და რიგითი მოქალაქეების ქონება სახელმწიფოს ხელში გადავა.

**ნატო გოგელია**

## კართაგენი უნდა დაინგრეს

უკვე მერამდენედ იქცა დამოუკიდებლობის დღე წარუმატებლობის სიმბოლოდ. პოლიტიკური რეალობა უმძიმესია. ოპოზიციამ „რევოლუციური ფრთა“ მოიტეხა. ე.წ. რადიკალური ოპოზიცია გაკოტრებულად გამოცხადდა (თუმცა, გამარჯვების შემთხვევაში არავინ გაასამართლებდა მათ). შედეგიანობის თვალსაზრისით ასევე ცუდად წავიდა ოპოზიციური „რვიანის“ საქმე; მათ ვერ შეძლეს სერიოზულ დათმობებზე ხელისუფლების იძულება საარჩევნო გარემოს არსებითი გაჯანსალების საკითხში. „რვიანის“ ორმა სუბიექტმა კი (მორალური თვალსაზრისით ეს ახალ მემარჯვენეებს უფრო შეეხება, ვიდრე ქრისტიან-დემოკრატებს) ისეთი პოლიტიკური სულსწრაფობა და სიმჩატე გამოიჩინა, ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართული პოლიტიკის უმწიფარობასა და სულმოკლეობაში. ნაბიჯით, რომელიც მათ გადადგეს, იმას შეუწყვეს ხელი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ყალბი წარმოდგენა შექმნილიყო საარჩევნო გარემოს საკითხში პოლიტიკური კონსენსუსის არსებობის შესახებ; იმავდროულად მათ განაიარაღეს „რვიანში“ დარჩენილი პოლიტიკური პარტნიორები ამ მიმართულებით შემდგომ ბრძოლაში; მეორე მხრივ კი, ყალბი ლეგიტიმაციური საფარველი შეუქმნეს ჩვენი საარჩევნო უფლების დაცულობას მომავალ არჩევნებში. ხელისუფლებასთან მათი ეს კომპრომისი (თავად რომ პრაგმატული პოლიტიკური აზროვნების შედევრად შემოგვასაღეს კმაყოფილებმა) მიუტევებელ „კომპრომატად“ შემორჩება მათ ბიოგრაფიას.

**„რვიანის“ საერთო შეცდომა იყო ხელისუფლებასთან ე.წ. ინდივიდუალურ მოლაპარაკებებზე დათანხმება;** მოლაპარაკებების ასეთი ბნელკულუარული „ფორმატი“, ასეთი გაუმჭვირვალობა, უკვე უნდობლობას აღძრავდა მოლაპარაკების პროცესისადმი და თავად „რვიანისადმი“. თავისთავად ისიც მიულებელია, რომ თურმე კუბლაშვილ-კაციტაძის რესტორანში გამართულ პოლიტიკურ ვახშამზე უნდა წყდებოდეს, გვექნება თუ არა ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს თავისუფალი არჩევნების ხელშეუვალი უფლება საკუთარ ქვეყანაში. აი, თურმე სად და როგორ იბადება ცინცხალი მოწინავე იდეები და ნამდვილი კონსტიტუციონალიზმი საქართველოში.

მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელი იყო. მაგრამ ეს უკვე რეალობაა, სამწუხარო წარსული, რომელიც კვლავ არაფერს გვიქადის უკეთესს. თუმცა, ამ ფაქტებს არ დაუკარგავთ აქტუალურობა: „ბოლომდე უნდა შევაფასოთ ფაქტები, რადგან ოდესლაც მათზე გაიშლება ჭეშმარიტების ყვავილები“ (ჰენრი დევიდ თორო).

„რვიანმა“ კიდევ სხვა არაერთი შეცდომა დაუშვა:

**1. მათ ძალზე დააგვიანეს, ეზრუნათ ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.** ამისთვის მხოლოდ მაშინ მიმართეს ხალხს, როცა მოლაპარაკებები სერიოზულ ჩიხში შევიდა; ისინი საერთაშორისო მხარდაჭერის იმედად დარჩნენ და ვერ გაითვალისწინეს, რომ ეს მხარდაჭერა გაცილებით ქმედითი სწორედ მაშინ გახდებოდა, თუ დასავლეთი ამ საკითხში პოლიტიკური ოპოზიციისა და საზოგადოების ალიანსს ნათლად დაინახავდა. სწორედ ამგვარი მოქმედებით იგრძნობდა ხალხიც საარჩევნო გარემოს საკითხში თავის ჩართულობას და არა უგულებელყოფას, ხოლო „რვიანის“ სუბიექტებს კი ხალხის ნდობას შეჰმატებდა; ხალხი თავიდანვე ჩართული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მათ იმაზეც უნდა ეზრუნათ, რომ ხელისუფლების წინადადებებზე დათანხმებისა თუ დაუთანხმებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე **წინასწარ მიეღოთ საზოგადოებისაგან დასტური.** ამ კონტექსტში განსაკუთრებით უარყოფითად გამოიყურებიან **ქდმ** და **ახალი მემარჯვენეები,** რომლებმაც საზოგადოების (მათ შორის, თავიანთი მომხრეების) დაუკითხავად მიიღეს დათანხმების გადაწყვეტილება. საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ მთელი საზოგადოება პოლიტიკურ „აფსაიტში“ აღმოჩნდა. ასეთ ფონზე ხელისუფლების განცხადება ოპოზიციასთან პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შესახებ სრული სიყალბე და სამარცხვინო დემაგოგიაა.

2. „რვიანის“ სუბიექტებმა არა თუ **არ იზრუნეს იმისათვის, რომ – რვიანის“ ბაზაზე ძლიერი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი შეექმნათ,** არამედ, გამუდმებით გვიმეორებდნენ – ჩვენ მხოლოდ საარჩევნო საკითხი გვაერთიანებს და სხვა არაფერიო. უფრო მეტიც, ახალმა მემარჯვენეებმა ისიც კი გამოაცხადეს, რომ მათი მიზანი „რვიანის „ სასწრაფო დაშლა იყო, რათა ამ კოლექტივიდან დროულად დაეღწიათ თავი და საკუთარი – პოლიტიკური იდენტობა„ არ დაეკარგათ (ეს მართლაც მოახერხეს და თავიანთი, ეტყობა, ეგზომ ძვირადღირებული იდენტობა მართლაც არ დაკარგეს).

3. „რვიანის“ რიტორიკა „რევოლუციონერების“ დამარცხების შემდეგ არ იყო ყოველთვის კორექტული და გამართლებული. მათი განცხადებები – აი, ხომ გეუბნებოდით, ჩვენი გზა უფრო უკეთესია და აქციებით არც ერთი საკითხი არ გადაწყდებაო, არ იყო პოლიტიკურად გამართლებული. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ **„რევოლუციონერების“ მარცხი „რვიანის“ წარმატების არც გარანტია იყო და არც საწინდარი.**

4. შეცდომა იყო „რვიანის“ ცალკეული ლიდერების მხრიდან ასეთი განცხადებებიც: ყველა თუ მოვა არჩევნებზე, ამ საარჩევნო კოდექსის არსებობის პირობებშიც კი შეიძლება გამარჯვებაო. პოლიტიკური ინფანტილიზმის გამოვლინებაა რწმენა, რომ არჩევნებში, თუკი ის არ გაყალბდება, აუცილებლად გაიმარჯვებენ. კი მაგრამ, პრობლემაც ხომ ისაა, მოვა თუ არა ხალხი და, მით უმეტეს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ელექტორატი არჩევნებზე? ანდა, რატომ ჰგონიათ, რომ თუ გარემოს გაჯანსაღებას ვერ მოახერხებენ (ანუ ამ პირველ წარმატებასაც ვერ მიაღწევენ) და ამის მიუხედავად, არჩევნებში მაინც მიიღებენ მონაწილეობას, ხალხის უმრავლესობა მაინც მათ მისცემს ხმას? თუ გარემო არ გაჯანსაღდა, და ისე ჩატარდა არჩევნები, გარანტიას გაძლევთ, რომ ელექტორატის დიდი ნაწილი ისევ არ მივა არჩევნებზე, რადგან საარჩევნო სიაში თავიანთი „ჯილა“ არ ეყოლებათ. არჩევნებზე კი ისევ ის (სტალინის სინდრომით დაავადებული ელექტორატი) გამოცხადდება, მუდამ „ძლიერს“ რომ უჭერს მხარს, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის ეს „ძლიერი“. **ჯერ რაიმე სერიოზულ წარმატებას მაინც უნდა მიაღწიო, ხალხის „ჯილა“ უნდა გახდე და არჩევნებში გამარჯვებას ამის შემდეგ დაელოდო.** ანდა, იქნებ უფრო უარესადაც არის საქმე? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ტოტალიტარულ სახელმწიფოებში რაიმე განსაკუთრებული ძალდატანება აღარ არის საჭირო, რადგან მოსახლეობას უკვე ღრმად უყვარს თავისი მონური მდგომარეობა (ფრედერიკ ბეგბედერი).

5. არასაკმარისი იყო 26 მაისის აქციის დარბევისა და ხალხზე გამოყენებულ უკანონო ძალადობაზე მათი რეაქცია; იმის შიშით, ხელისუფლება არ დავაფრთხოთ და მოლაპარაკებები საერთოდ არ ჩავშალოთო, **მათ „26 მაისი“ მძიმედ, მაგრამ მაინც გადაყლაპეს;**

მათთან ერთად ჩვენც გადავყლაპეთ. გადავყლაპეთ და შევეგუეთ იმას, რომ ქვეყნის ხელისუფლება, პოლიცია თუ ჯალათებად ნაწრთობი სპეცნაზი :

– ჩვენივე თანამოქალაქეებს, ნაცემსა და ნაგვემს, წუმპეში, პირქვე, ხელფეხშეკრულს, 3-4 საათის განმავლობაში დაბლა დაყრილებს ამყოფებს; ამას არ აკმარებს და პირქვე გართხმულებს ზურგში რეზინის ტყვიებს უშენს; უმოწყალოდ ნაცემი მოქალაქე საავადმყოფოს მაგივრად სასაფლაოზე მიჰყავს და იქ აგდებს; არასრულწლოვან მოზარდს ისე უსწორდება, როგორც საშიშ ტერორისტს და დემოკრატიის ასეთ გაკვეთილს უტარებს; დღეების განმავლობაში შეგნებულად ასაიდუმლოებს დაჭრილთა და დაკავებულთა ვინაობას, საავადმყოფოს ექიმებს დაზარალებულთა ვინაობის გამხელას უკრძალავს; მოკლულის გვამს დანაშაულის დაფარვის მიზნით შენობის სახურავზე აგდებს, ჭირისუფალი კი ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს (!). აღარ გავაგრძელებ, ყველამ ყველაფერი კარგად იცის.. ყოველივე ეს, ჩემთვის პირადად, **ცივილიზაციაზე თავდასხმას** ნიშნავდა. **დღეს უკვე ათობით და ასობით სანდრო გირგვლიანი გვყავს...**

არადა ის, რასაც ვეგუებით, მუდმივად ჩვენთან დარჩება და იმადვე გადავიქცევით. ასე დავრჩებით მუდმივად წუმპეში, პირქვე, ხელფეხშეკრული, თავგატეხილი და, ახლა უკვე პირახვეულიც, რათა ისიც ველარ აღმოვთქვათ, წუმპეში რომ ვართ ჩაყრილნი, დამცირებულნი და პატივაყრილნი. ხელბორკილებს უკვე შეგვაგუეს, ახლა პირბორკილს გვაგუებენ, ჰოდა თუ ამასაც შევეგუეთ, თავადვე გამოვჭედავთ ჩვენი სულების ბორკილსაც... და მშვიდობით, სამუდამოდ, თავისუფლებავ!!!

**ჭეშმარიტი ღირსება უსამართლობას ვერ ეგუებაო** *(ჰენრი ფილდინგი).*

**მართლაც, ის რაც ჩვენში ხდება, თითოეული ჩვენგანის ბრალია, არც მხოლოდ ხელისუფლების, არც მხოლოდ ოპოზიციის, არც მხოლოდ ელჩებისა თუ სხვა გადამთიელების, ხილული თუ უხილავი მტრის... ჩვენი ნიჰილიზმის ბრალია, ჩვენი კონფორმიზმის, მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობის, უიდეობისა და იუდეობის... იმავდროულად – ჩვენი წრეგადასული ამბიციებისა და ამპარტავნების.** გამორჩეულ მართლმადიდებლებად კი ძალიან მოგვაქვს თავი (!) ახლა გამოჩნდება, რანი ვართ, რანი გვინდა რომ ვიყოთ, ან რისი მაქნისები ვართ საერთოდ. დღეს უკვე იქამდე მივიდა საქმე, რომ მოშიმშილე მეტალურგებსაც კი აპატიმრებენ, რათა სოციალურ საკითხებზეც კი ველარ გავბედოთ ხმის ამოღება.. ამასაც ვეგუებით...

დღევანდელი ხელისუფლება მეტად საშიში გახდა ხალხისათვის. რაც დრო გავა, მით უფრო საშიში გახდება, მით უფრო დაუნდობელი, მით უფრო ვერაგი. მას აღარც აქვს სხვა გზა. აღარც ჩვენ გვაქვს სხვა გზა. თუ კიდევ უფრო შევშინდით, უფრო დავითრგუნეთ, კიდევ უფრო ჩავეფალით წყეული ნიჰილიზმის, შიშისა და უმოქმედობის ჭაობში, ველარასოდეს ამოვბობღდებით იქიდან; სულიერად, გონებრივად თუ ზნეობრივად დამბლადაცემულები ვერასოდეს შევქმნით სახელმწიფოს, ვერ გავზრდით ჩვენს შვილებს, ვერაფერს დავანათლავთ ისეთს, რაც გამარჯვებას მოუტანს მათ მტერთან, ურჩხულთან, გოლიათთან ბრძოლაში... **ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, მთავარი მოქმედი პირი ხალხი გახდეს და თავის თავზე აიღოს მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე.**

**უმეტესი დანაშაულის ცდუნება დაუსჯელობის გათვლაში მდგომარეობსო** (ამას ციცერონი ამბობდა). ადამიანის უფლებების ასეთი ფეხქვეშ გათელვა, ასეთი სისასტიკე და მორალური ტერორი, უწინარესად სწორედ ჩვენს სახელმწიფოებრიობას ანგრევს, რადგან იგი შეურაცხყოფს იმ ღირებულებებს, რასაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ჩვენი კონსტიტუცია ემყარება – სწორედ ის კონსტიტუცია, ვითომდა აგრერიგად რომ „ადარდებს“ ვარდისფერი ფაშიზმის შემოქმედთ. **საქართველოს ჰიმნის გაჟღერება სადამსჯელო ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ, თუნდაც პირმშვენიერი ნინი ბადურაშვილის შესრულებით, ამ ჰიმნის შეურაცხყოფა იყო.** ჰიმნი, დროშა და სახელმწიფოებრიობის ყველა სიმბოლო მოწიწებასა და პატივისცემას იმსახურებს სწორედ იმ ღირებულებების გამო, რომლებსაც ისინი განასახიერებენ. ჰიმნის შესრულება ამ ღირებულებებისადმი ერთგულების დადასტურების სიმბოლური აქტი (უნდა იყოს) და არა „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ გულისამრევი თვითკმაყოფილების ურცხვი და უადგილო დადასტურება.

# ახლა გამოჩნდება, რანი ვართ



**ვინც არ სჯის ბოროტებას, ის ხელს უწყობს მის აღსრულებას** (ლეონარდო და ვინჩი). ჩვენს კონფორმიზმსა და მოქალაქეობრივ უპასუხისმგებლობას ლოგიკურად მოჰყვა ფოტორეპორტიორების საქმე და კიდევ ერთხელ გამოვლინდა ყველა ის სისაძაგლე, რაც აღშფოთებას კი არა, გაკვირვებასაც აღარ იწვევს ჩვენში უკვე – საქმეთა უსირცხვილო ფალსიფიკაცია, ვინ იცის, რითი დაშინებული რეპორტიორები, თავისუფლების ფასად „ჯაშუშობის“ აღიარებაზე რომ თანხმდებიან; გაყიდული, პროკურატურის მანიპულაციების თანაამსრულებელი „ადვოკატები; მზაკვრული საპროცესო შეთანხმებანი, სახელისუფლო დანაშაულთა „გათეთრების“ უხეშ მექანიზმად რომ ქცეულა კარგა ხანია. და კიდევ ის უამრავი ჭორი თუ ამ ჭორებზე

> ხელბორკილებს უკვე შეგვაგუეს, ახლა პირბორკილს გვაგუებენ, ჰოდა თუ ამასაც შევეგუეთ, თავადვე გამოვჭედავთ ჩვენი სულების ბორკილსაც... და მშვიდობით, სამუდამოდ, თავისუფლებავ!!!

№ 179. სამშაბათი, 27 სექტემბერი, 2011 წელი.

კიდევ უფრო უარესი სინამდვილე, რაც ყოველივე ამის უკან დგას და რის დასაფარადაც მოხდა ყოველივე – 26 მაისს ჩადენილ დანაშაულობათა თუ იმპერიული ამბიციის აღვირახსნილი, რასპუტინული ორგიების ხილულ მტკიცებულებათა დასაფარად. ეტყობა ნაციონალურ მოძრაობას საქართველოში სინგაპურული განების თანამედროვე სოდომისა და გომორას აშენება განუზრახავს და იქ აპირებს სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას ევროპული (თუმცა, არა, ევროპულზე უფრო მაღალი) სტანდარტებით. **უსამართლობა, დაუსჯელობა, განუკითხაობა და თავგასულობა ისეთი პათეტიური თავდაჯერებულობითა და მედიდურობით ცხადდება სიმართლისა და სამართლიანობის ბატონობად, მავანთა სიშლეგე და დამთხვეულობა – უბადლო პოლიტიკურ გამჭრიახობად, ხოლო სიცრუე კი – ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად, რომ ამ საკვირველი წარმატებებით მონუსხულებს ისღა დაგვრჩენია, კიდევ უფრო შევვიყვარდეს „მშობლიური ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან ერთად ჩვენი მონური მდგომარეობა.**

ამასვე ემსახურება დაქირავებული, თანამედროვე მონებად ქცეული ზოგიერთი მედიასაშუალებიდან გადმოხეთქილი ნამდვილი წარლვნა პიარისა – განუწყვეტელი და აგრესიული პროპაგანდა – **შთაგვინერგონ, რომ ყველაფერი ძალიან კარგადაა, შეგვაყვარონ ის ამაზრზენი რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ. ეს პროპაგანდა უკვე ფსიქიკურ ძალადობად ქცეულა, შიდსის ვირუსივით რომ იჭრება ჩვენი გონიერების წიაღში და სამუდამო დაინვალიდებას რომ უქადის მას.**

და აი, კიდევ ერთი ბოროტება – ნაციონალური მოძრაობის ვარდისფერი, უფრო სწორად – ხაკისფერი შემოქმედების ნაყოფი – **ნებაყოფლობით მონათა პრივილეგირებული კასტის შექმნა.** ვის არ ნახავთ ამ კასტაში: 26 მაისის ჯალათებს, აქციის დაშლის უფლებამოსილება ძალადობის გამოყენების შეუზღუდავ ლიცენზიად რომ წარმოუდგენიათ სისხლიანი პრემიის მოლოდინში; სასახლეში პანლურამორტყმულ მინისტრებსა თუ გუბერნატორებს, მლიქვნელობის ნეტარებაში გატრუნულები უსიტყვოდ რომ ალასრულებდნენ პრეზიდენტის ძვირადღირებულ ახირებებსა თუ კადნიერ ეგზოტიკურ აკვიატებებს; იმ რობოტ ჟურნალისტებს, მოჩვენებითი სამართლიანობისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის ფანტასმაგორიების შექმნაში რომ ხედავენ ჟურნალისტის პროფესიის დანიშნულებას, თავიანთი კოლეგების დასაცავად კი ხმის ამოღებას ვერ ბედავენ პრივილეგიების დაკარგვის შიშით; ხელოვნების მუშაკებს, ჯილდოების მიღებისა თუ სახელისუფლო ამბიციურ კონცერტებში მონაწილეობის დაუოკებელი წყურვილით გუნდრუკს რომ უკმევენ თავიანთ კერპს ყალბი გულწრფელობითა და წარმართული გულმოდგინებით; „სამართლის მსახურებს“, ნრეგადასულ უსამართლობას ურცხვად რომ ასხამენ სასამართლოებში „სამართლიანობის მანტიას“ წარბშეუხრელნი; სხვებს და სხვებს, მხოლოდ იმიტომ, მუდამ ფავორში რომ იმყოფებოდნენ, ნაციონალურ „ელიტას“ რომ განეკუთვნებოდნენ და წითელ ხალიჩაზე სანუკვარი პოზირების წყალობას რომ იმსახურებდნენ ძლიერთაგან ამა ქვეყნისა“. აი, მათთვის პასუხის მოთხოვნა კი სრულიად უმიზნო და ამაო საქმედაც მიმაჩნია; ყურმოჭრილ მონებთან ანგარიშის გასწორება თავისთავად დაამცირებდა იმ იდეის კეთილშობილებას, რასაც თავისუფლებისათვის ბრძოლა ჰქვია. მათ ისიც ეყოფათ **„სასჯელად“, „ნებაყოფლობით მონობაში“ რომ ჰპოვებენ თავიანთი დანიშნულების ხიბლს ადამიანური ღირსების თანამედროვე, აღმატებული განზომილებების ეპოქაში..**

ისტორია მოწმობს, რომ დიქტატურული თუ ავტოკრატიული მმართველობა არასოდეს არ არის ეფექტიანი და ხანგრძლივი.. ყველაზე უფრო სუსტი, შინაგანად, სწორედ ასეთი მმართველობებია, **ვინაიდან სახელმწიფო მოხელის ნებისმიერი ცუდი საქციელი თავისუფალი მმართველობისა და კონსტიტუციის გადაგვარებას იწვევს.** სახელმწიფო მმართველობის ესა თუ ის სისტემა მხოლოდ მაშინაა ძლიერი, ეფექტიანი, მყარი და ხანგრძლივი, **როდესაც ხელისუფლება ხალხის რეალურ ინტერესებს იცავს და ემსახურება, ხოლო ხალხს კი იმის უნარი აქვს, რომ დემოკრატიული მეთოდებით მუდმივად იქონიოს მასზე სუვერენული კონტროლი.** კუნთებზე მაცქერალი ხელისუფლება წარსულის კუთვნილებაა, სწორედ ის ბოლშევიზმია, რომელსაც, ახლა ე.წ. „თავისუფლების აქტით“ (ჰოი, საკვირველებავ!) თავგამოდებულად „ებრძვიან“ საქართველოს პარლამენტში თანამედროვე ბოლშევიკები. **მართლაცდა საკვირველია ის, რომ კომუნისტურ მენტალიტეტს „ებრძვიან“ ისინი, რომლებმაც დაამკვიდრეს ძალადობა ადამიანებზე, ძალადობა მედიაზე, ძალადობა თავისუფალ საარჩევნო ნებაზე, ძალადობა ბიზნესზე, ძალადობა მართლმსაჯულებაზე... ეს ადამიანებისათვის სამშობლოს წართმევას ნიშნავს** ლამის, რადგან სამშობლოს განცდა არ შეიძლება უკავშირდებოდეს ძალადობასა და უსამართლობას. ხალხი, ბოლოს და ბოლოს განუდგება მათ – ცალსახად და საბოლოოდ, რადგან: **სადაც არ არის მართლმსაჯულება, იქ ბუნაგია და არა მამული** *(მ.დე მონტელი):*

სახელმწიფოს კუნთებზე მაცქერალი პრეზიდენტიც წარსულის კუთვნილებაა, იმის მიუხედავად, იცის თუ არა მან ეს, ან შეუძლია თუ არა ჩაწვდეს ამ ჭეშმარიტებას საერთოდ. ასეთი ხელისუფალი ვერ იქნება ერის ნამდვილი „ლიდერი“ 21-ე საუკუნეში, რადგან **„ლიდერობა თანამედროვე ეპოქაში მხოლოდ ხალხთან ერთად დგომას და მის პატიოსან მსახურებას ნიშნავს“** *(მაჰათმა განდი).*

26 მაისის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის შინაგანი ავბედითი მუტაცია საშიშ ფაზაში შევიდა. ის უკიდეგანო ცინიზმი, ფარისევლობა, უსამართლობა, შიში და ზიზღი, რომელიც მან დათესა, **ნაციონალურ ბოროტებად** ქცეულა, მზარდი მეტასტაზებით რომ ახრჩობს ქართულ ეროვნულ სხეულს, სახელმწიფოებრიობასა და თავისუფლებას. ვინც ქარს დასთესს, ის ქარიშხალს მოიმკისო. იგი ვერ გაუძლებს იმ უარყოფით დამანგრეველ ენერგიას, რომელიც დათესილ და გამრავლებულ ბოროტებას, ღვთიური და ადამიანური კანონების დარღვევას მოაქვს. ნაციონალურ მოძრაობას თვითგანადგურების ცუნამი ემუქრება(!) ეს უსათუოდ მოხდება, და ვგონებ, სწორედ მაშინ მოხდება, როდესაც ყველაზე მეტად იქნება დარწმუნებული თავისი ძალაუფლების ურყეობასა და ხანგრძლივობაში.



**კართაგენი უნდა დაინგრეს! ავტოკრატია უნდა დასრულდეს საქართველოში!**

**ევა გოცირიძე**

## აქტუალური ინტერვიუ



გაეროს ასამბლეის ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და ოპოზიციურ ფლანგზე არსებულ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ყოფილ ელჩს ევროკავშირში, ნატოსა და რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.

# დგება ჟამი, როდესაც პოლიტიკოსის ყველა მიღწევა წარუმატებლობად იქცევა

**– ბატონო ზურაბ, გაეროს 66-ე ასანბლეაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ თანამედროვე მსოფლიოში კვლავ არსებობს რუსული იმპერიალიზმის საფრთხე; საქართველომ 2010 წლის 23 ნოემბერს ევროპარლამენტში ღიად განაცხადა უარი კონფლიქტების ძალის გამოყენებით გადაჭრაზე, მაგრამ რუსეთისაგან პასუხი დღემდე არ მიუღია და ოფიციალური თბილისი რუსეთის ლიდერებისგან მშვიდობის ჟესტზე პასუხს ელოდება. გასაგებია, რომ რუსეთში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მარათონი კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ ამ თვალსაზრისით, რუსეთში საარჩევნო ციკლის დასრულების შემდეგ, რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს ქართულ მხარეს რუსეთისგან?**

– თუ მოულოდნელი სიურპრიზები არ გაჩნდა, რუსეთში საარჩევნო სურათი თითქმის უკვე გამოიკვეთა. ყველა კარგად ხედავს, რომ ამ სურათის „ფერთა გამას“ კრემლი არჩევს. დუმის არჩევნებისთვის კრემლმა ჯერ ახალი მოთამაშე – მილიარდელი პროხოროვი შეარჩია, მაგრამ როგორც კი მასში რალაც ამბიციები ამოიკითხეს, სასწრაფოდ გვერდზე გასწიეს. რეალური ოპოზიციური ძალების დუმაში მოხვედრის შანსები მინიმალურია.

რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, აქაც უდიდესი ალბათობით პუტინის გამარჯვებას უნდა ველოდოთ. ჩემი აზრით, პუტინის ხელახლა გაპრეზიდენტება კიდევ უფრო გაალარიბებს რუსეთის პოლიტიკურ „პალიტრას“. საქმე ის გახლავთ, რომ მედვედევ-პუტინის ტანდემის არსებობას მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული პლურალიზმი შეჰქონდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან ელიტის გარკვეული წრეები მედვედევზე ამყარებდნენ იმედებს. ახლა ეს ნომინალურად ორპოლუსიანი ძალაუფლების რეჟიმი ისევ ცალსახად პუტინისეული, ერთპოლუსიანი რეალობით შეიცვლება, რაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებულ მინიმალურ პლურალიზმსაც კი გამორიცხავს. მაგრამ, მთავარი კითხვა ის გახლავთ, რამდენად გაუძლებს პუტინის პოლიტიკური სისტემა რუსეთის ახალ გამოწვევებს. ეკონომისტები სულ უფრო ხმამაღლა საუბრობენ რუსეთში მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისზე. პოლიტიკური რეფორმებისა და საგარეო პოლიტიკის სერიოზული კორექტირების გარეშე კი, ამ კრიზისის გადალახვა მეტად რთული საქმე იქნება.

გარდა ამისა, არის წმინდა ფსიქოლოგიური პრობლემაც: ადამიანებს უჭირთ ხელისუფლებაში მრავალი წლის განმავლობაში ერთი და იმავე სახის ყურება. რაღაც ეტაპზე ფრანგებს მობეზრდათ დე გოლი, ინგლისელებს – ჩერჩილი, გერმანელებს – ადენაუერი. ესენი, რბილად რომ ვთქვათ, გაცილებით დიდი პოლიტიკოსები იყვნენ, ვიდრე ბატონი პუტინია.

საერთოდ კი, დგება ჟამი, როდესაც პოლიტიკოსის ყველა მიღწევა წარუმატებლობად იქცევა. ეს უნივერსალური ფორმულაა. მგონი, პუტინი ახლა ამ ზღვარს მიუახლოვდა.

რეალისტურად თუ ვიმსჯელებთ, ეს საქართველოსთვის საკმაოდ ცუდი პერსპექტივაა. რა ცვლილებებიც არ უნდა მოხდეს უახლოეს წლებში საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში, ჩვენ მაინც რთული ხასიათის ჩრდილოელ მეზობელთან გვექნება საქმე. თუმცა, აქ ბევრი ნიუანსია და ეს განსჯის ცალკე თემაა.

**– არავინ დავობს, რომ პოსტრევოლუციურ საქართველოში ბევრ სფეროში სახელმწიფოსა და საზოგადოების რადიკალური ტრანსფორმაცია სახეზეა, მაგრამ თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აფასებს საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოში გატარებულ რეფორმებსა და ახალგაზრდა დემოკრატიის მშენებლობას, რითაც საქართველოს ხელისუფლება ხშირად ამაყობს?**

– ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდან საქართველოში მიმდინარე რეფორმების პოზიტიური შეფასებები საზოგადოების ერთ ნაწილს აშკარად აღიზიანებს, რაც პირადად ჩემთვის გასაგებია – ცხოვრება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მეტად რთულია. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ უცხოელი კოლეგები შედარებებისთვის პარალელს ავლებენ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, ჩვენს მეზობლებთან. ანუ, ჩვენ გვადარებენ არა ნორვეგიას და შვედეთს, არამედ - სომხეთს, აზერბაიჯანს, მოლდოვას, უკრაინას. მათთან და თუნდაც იმავე რუსეთთან შედარებით, საქართველოს უფრო რეფორმისტულ ქვეყნად აღიქვამენ.

გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ხელისუფლებას აშკარად ხელეწიფება ე.წ. პიარი, თუმცა, ესეც პოლიტიკური რეალობის ნაწილია – ვიღაც კარგად აპიარებს თავს, ვიღაც კი ცუდად. მაგრამ ამ შეთხვევაშიც დგება ჭეშმარიტების მომენტი, ასეთი კი, ჩვენს შემთხვევაში, მომავალი არჩევნებია.

**– პრეზიდენტმა საკავშირო არაბულ ქვეყნებს, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ რევოლუციურმა ტალღამ გადაუარა, მოუწოდა, ქვეყანაში რადიკალური რეფორმების გატარებაში მაგალითი საქართველოსგან აიღონ. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა, რომ არაბული ქვეყნების ახალმა ლიდერებმა გამოცდილების შესასწავლად სწორედ საქართველოს მიმართონ?**

– ჩემი აზრით, გონიერი ადამიანი ნებისმიერ ქვეყანაში იპოვის ისეთ რამეს, რაც მის გამოცდილებასა და საქმეს წაადგება. საქართველოშიც ნამდვილად ბევრი რამ არის სანიმუშო და გასაზიარებელი. მაგრამ, მე მაინც ვამჯობინებდი, რომ ჩვენ უფრო თვითკრიტიკულნი ვიყოთ. ეს, სამწუხაროდ, ყველას ეხება, პოზიციასაც და ოპოზიციასაც. როგორც მაცხოვარი იტყოდა – ზოგი სხვის თვალში ბეწვსა ხედავს და თავისაში დირესაც ვერაო.

**– ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ წლევანდელ შემოდგომაზე პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იქნებოდა. ჯერჯერობით პოლიტიკურ ასპარეზზე ხელისუფლების სახით მხოლოდ ერთი აქტიორი ჩანს. რამდენად სავარაუდოა, რომ „ქართული მარშის“ ორგანიზების შემდეგ „ფორუმი“ უკმაყოფილო ელექტორატის მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდეს?**

– სამწუხაროდ, ოპოზიციის ერთმა ნაწილმა იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ თითქმის მთლიანად „მოუსუფთავა“ ხელისუფლებას ბურთი და მოედანი. თქვენს წინა კითხვას დავუბრუნდები და არც ამ შემთხვევაში მაქვს იმის განცდა, რომ შეცდომების გაანალიზებას ოპოზიციაში ყველამ დიდი ენერგია დაახარჯა. არჩევნებისთვის კარგად უნდა გაანალიზდეს, თუ რას ელის ოპოზიციისგან ამომრჩეველი, რანაირად უნდა შეიცვალოს მისი იმიჯი, ტაქტიკა, შეთავაზებები და ა.შ. დრო ცოტა რჩება, მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი, რომ არჩევნებისათვის მოსახლეობამ იხილოს განახლებული და მიმზიდველი ალტერნატიული პოლიტიკური ძალა. ბევრი ობიექტური სირთულეა, მაგრამ რეალური შანსებიც არსებობს.

გულწრფელად მწამს, რომ ძლიერი, გონიერი და ჭეშმარიტად საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული ოპოზიციის შექმნა ხელისუფლების ინტერესებშიც უნდა იყოს. ჩვენ მომავალი არჩევნები გაცილებით უკეთესად უნდა ჩავატაროთ, ვიდრე ჩვენმა მეზობლებმა, თუნდაც იგივე რუსეთმა. აი, ამ მიმართულებით გააკეთებენ ხვალ დასკვნებს იმის თაობაზე, თუ ვინ უფრო წინ წავიდა რეფორმების თვალსაზრისით.

**– გაურკვეველი რჩება „ექვსიანში“ გაერთიანებული იმ პარტიების სამოქმედო გეგმა, რომლებსაც საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების თამაშის წესები არ მიუღია. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა, რომ „ექვსიანი“ აღნიშნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის კონსოლიდაციას და მომავალი არჩევნებისთვის მილიონი ამომრჩევლის მობილიზაციას შეძლებს?**

– გავიმეორებ ადრე ნათქვამს: ოპოზიციის ერთი ნაწილის შეცდომა ისიც არის, რომ წლების მანძილზე უნერგავდა მოსახლეობას არჩევნების უაზრობის განცდას. ამან დიდი ნიჰილიზმი გააჩინა რთული, მაგრამ ერთადერთი სწორი პროცესის – დემოკრატიზაციის მიმართ. ამ ვითარების კარდინალურად შეცვლაა საჭირო. ყველა ამომრჩეველი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი ხმა გადამწყვეტია, რაც საზოგადოებაში არსებულ განწყობილებებს რეალურად წარმოაჩენს.

რაც შეეხება „ექვსიანს“, ალბათ უახლოეს მომავალში გამოჩნდება, თუ როგორ და რა კონფიგურაციით წარსდგებიან მისი წევრები არჩევნებზე.

**კობა ბენდელიანი**

# ეთნიკური ანაქრონიზმი ცნობიერების

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობას ვეწიეთ და „ჩვენი თავი ჩვენადვე ვიყუდნეთ“, ოცი წელი გავიდა, მაგრამ სახელმწიფო ვერ ავაგეთ. ავაგეთ კი არა, ისიც დაგვეშალა, რაც საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მივიღეთ, და, შესაძლოა, კიდევ დაგვეშალოს, საერთოდ გავქრეთ რუკიდან, თუ არ გავარკვიეთ, რა გვიშლის ხელს და თავი არ დავაღწიეთ იმას. მიზეზს ადამიანები, ჩვეულებრივ, გარე ფაქტორებში ეძებენ. გარე ფაქტორები, რა თქმა უნდა, არსებობენ, მაგრამ მთავარი მიზეზი ყოველთვის საკუთარ თავშია საძებარი. ამიტომ ამბობს ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

რატომ ვერ ვაგებთ სახელმწიფოს? მიზეზი მარტივია: იმიტომ, რომ ქართველობა გვინდა და არა მოქალაქეობა, უმოქალაქეობოდ კი არ არსებობს სახელმწიფო. მოქალაქეობა არაქართველების ქართველებთან გათანაბრებას უდრის, მათთვისაც ადამიანის უფლებების მინიჭებას, ჩვენ კი მათთან უფლებებით გათანაბრებას უუფლებობა გვიჯობს. ერთი აკადემიკოსი ქართველის აზრით, „ადამიანის უფლებების დაცვა ერის წინააღმდეგ ბრძოლა, საბოლოო ჯამში, ადამიანის წინააღმდეგაც არის მიმართული, რადგან ადამიანი ადამიანად ყალიბდება მაშინ, როცა ის ერშია“. ჰოდა, ადამიანის უფლებები, ქართველობის სანაცვლოდ, არაფერში გვჭირდება! ეგეთი მოქალაქეობა თავიანთთვის შეინახონ, არსად დაეკარგოთ! მაგათ ადამიანის უფლებებს ჩვენი უუფლებო ქართველობა გვირჩევნია! სწორადაც ვიქცევით, მოქალაქეობაზე რომ არა ვთანხმდებით: მოქალაქეობას რომ დავთანხმდეთ, ქართველობას რაღა ვუყოთ?! ქართველებს ერთი ქართველობა დაგვრჩა და ისიც თუ წაგვართვეს, ან სახელმწიფო რად გვინდა, ან მოქალაქის უფლებები?! პასპორტიდან ეროვნება ამოგვიშალეს, მამის სახელი წაგვართვეს და ქართველობაც უნდათ წაგვართვან? ვერ ეღირსებიან! ძირის ძირამდე ჩავყვებით გვარგამოცვლილ თუ გვარგამოუცვლელ ქართველებს, რათა მათი არაქართველობა დავამტკიცოთ!

სულ ახლახან, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საიტზე ვიღაც „არაქართველი“ (არაქართველი იქნებოდა, თორემ ქართველს ასეთი აზრი თავში როგორ მოუვიდოდა?!) ეშმაკურ კითხვას სვამდა: „მიშას წინაპარმა თევდორე მღვდელმა სამასი წლის წინათ ჩაიდინა გმირობა. ბელგიაში საკმარისია სამი წელი იცხოვრო, რომ ბელგიელი გახდე. რამდენი საუკუნეა საჭირო, რომ საქართველოში ადამიანი ქართველი გახდეს?!“

ამაზე ჩვენი „ქართველი“ (ქართველი იქნებოდა, აბა, არაქართველს ასეთი „სიბრძნე“ თავში როგორ მოუვიდოდა?!) მოსწრებულად უპასუხებდა: „იკითხო, რამდენი დროა საჭირო ნასომხრის გასაქართველებლად, იგივეა იკითხო ჰომო საპიენსთან რამდენწლიანი თანაცხოვრება სჭირდება ასკარიდას ან სოლიტერს, რომ თვითონაც ადამიანად იქცეს, რადგან ნასომხარი ასიმილაციას, ინტეგრაციას არ ექვემდებარება, როგორც ზოგადად სოლიტერი, ანუ პარაზიტი...“

პარაზიტზე გამახსენდა: პუბლიცისტ დიმიტრი მონიავას შესანიშნავი სტატია აქვს გამოქვეყნებული ამავე გაზეთში – „პარაზიტიზმის ანატომია“. იქ ქართველებზეა საუბარი. ბატონ დიმიტრის მე ვერაფერს შევუსწორებ, მაგრამ პარაზიტებად, ქართველების ნაცვლად, სომხები რომ გამოეყვანა, ენამოსწრებულ თანამემამულეს უხერხულ მდგომარეობაში აღარ ჩააგდებდა. მაგრამ სომხები მშრომელი და მშვიდობიანი ხალხია და, პუბლიცისტი ხომ არ გამოიგონებდა იმას, რაც არ არის?!

რამდენი საუკუნეა საჭირო და – არც რამდენი! ქართველი თარგამოსიდან მოდის და როგორც არ უნდა გადაგვარდეს, მაინც ქართველად რჩება; არაქართველი კი თარგამოსიდან არ მოდის (სომხის გარდა, მაგრამ ახლა არ გავახსენოთ სომხებს!) და ვერასოდეს გახდება ქართველი! ქართველობა, დიახ, პრივილეგიაა! უფლება არა გვაქვს ქართველებს, რომ პრივილეგირებულები ვიყოთ საქართველოში მაინც, რადგან რუსეთში აღარ გვაპრივილეგირებენ, გვაპრივილეგირებენ კი არა, მაგათი... სატვირთო თვითმფრინავებით გამოგვყარეს! პრივილეგია კი არ იყოფა: გაყოფილი პრივილეგია უკვე პრივილეგია აღარ არის, და ყველა თუ პრივილეგირებული იქნა, დაჩაგრული ვინღა იყოს?! მაგრამ ეს ორჯერ ორი ოთხი როგორ გინდა შეაგნებინო სომხებს?! აფხაზებმა და ოსებმა შეიგნეს: ტერიტორიებიანად გაგვეცალნენ. სომხებს კი ჯიუტად არ უნდათ, რომ შეიგნონ: არც აფხაზებისა და ოსებივით მიდის (ტერიტორიანად!), არც ქართველებივით (უტერიტორიოდ!) და საქართველოში დარჩენილ ქართველებთან ერთად იტანენ ამ უბედურებას!.. რა, მაგათ კი არ უნდათ „ჯავახკის“ დამოუკიდებლობა?!.

ჯანდაბას სახელმწიფოც და მოქალაქეობაც, თავისი ადამიანის უფლებებიანად! გაუმარჯოს თემურ წყობილებას და „ეროვნულ“ ფეოდალიზმს! „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია!“

ოსებსა და აფხაზებს კი თურმე ახლავე მოსდომნიათ დემოკრატია! მოხარშული წაბლი არ უნდათ! მაგრამ წაბლს ვინ ჩივის, სომხებს ამასობაში სომეხი შემოუპარებიათ პრეზიდენტად! ამიტომაც ვართ ამ დღეში! ცნობილი მსახიობი გურამ ფირცხალავაც მაგას ამბობს: „ხომ ხარ სომეხი? გამოდი და თქვი. რა არის ამაში საწყენი? მიშა, შენ ნამდვილად ვერ აკეთებ ქვეყნის საქმეს. ხომ ხედავ, დააქციე ქვეყანა! იქნებ მართლა იმის ბრალია ყველაფერი, რომ ქართული სისხლი არა გაქვს?“

იქნებ კი არა, ნამდვილად! ქართული სისხლი არსებობს: პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილის თქმით, „ეთნიკურად ქართველი არის ის, ვისაც სისხლიც ეთნიკურად ქართული აქვს“. ისტორიკოსმა გურამ ყორანაშვილმა კი ბატონი ლევანი გერმანელ ფაშისტებს შეადარა: „მაგრამ საქმე ბიოლოგიურ ფაქტორში (ჰემატოლოგიაში), როგორც ეს ჯერ კიდევ გერმანელ ფაშისტებს მიაჩნდათ, კი არ არის...“. არადა, ბატონი ლევანი მართალი გახლდათ. გურამ ყორანაშვილს კი რა უკვირს: სპეციალურ ქართულ სისხლზე ჯერ კიდევ დიდი მიხეილ ჯავახიშვილი ლაპარაკობდა!

პუბლიცისტ არნო ხიდირბეგიშვილს კი სურს, დაგვარწმუნოს: „სახელმწიფოში სერიოზულ თანამდებობებზე რომ დაგვენიშნა აფხაზები და ოსები, ყველა არაქართველისთვის მიგვეცა საშუალება, ცოტათი „საჭე ემართა“, გარწმუნებთ, მაშინ ეს არაქართველები, ქართველებზე უფრო დიდი თუ არა, ნაკლები პატრიოტები არ იქნებოდნენ!“

დავნიშნეთ, ბატონო არნო, თანაც სერიოზულზე კი არა, უსერიოზულესზე – პრეზიდენტის თანამდებობაზე, მაგრამ პატრიოტის ნაცვლად კოსმოპოლიტი შეგვრჩა ხელში!

პროფესორი ვლადიმერ ვახანია კი პრეზიდენტის თანამდებობასაც უთმობდა „არაქართველ“ ბალაფშს: „არ შეიძლებოდა ბალაფში არჩეულიყო საქართველოს პრეზიდენტად, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე? თუ არ არსებობს საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა? ასეთმა შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ რეგიონებისადმი მიგვიყვანა ჩვენ დღევანდელ დღემდე“.

ეგრე სად არის, ძმაო?! ეგრე არ არის თაყაო, შენ რომ მამული გაყაო. „განაყოფი რომ კარგი იყოს, ღმერთსაც ეყოლებოდაო“. „საზიარო საზიანოაო“. „საზიარო ფეტვი ჩიტმა მოჭამაო“. „არა, „ერთი მაქვს – სჯობს ათასს მქონდეს“...“

მართალია, ბატონ ვლადიმერს არ უთქვამს, სომეხი აგვერჩიაო, მაგრამ გახიე და გაფხრიწე ერთი არ არის?! ყველა მოქალაქეს თუ პრეზიდენტობა მივართვით, სომეხიც იტყვის, მეც მინდა, თუ ბალაფში შეიძლებოდა პრეზიდენტი ყოფილიყო, მე რა, მოქალაქე არა ვარო?! ნურას უკაცრავად! არც მოქალაქეობა გვინდა და არც თქვენი პრეზიდენტობა!

ქართველისა და მოქალაქის ცნებების აღრევის თვალსაჩინო ნიმუშია ე.წ. „ქართველთა მარშის“ გუბაზ სანიკიძისეული ინტერპრეტაცია. „ეროვნული ფორუმის“ ლიდერის განმარტებით და დავით აქუბარდიას თანხმობით, „27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ქართველი საზოგადოების სრული მობილიზებით, თბილისში იმართება „ქართველთა მარში“ და არავითარი საქართველოს მოქალაქეთა მარში“.

**ქართველისთვის ქართველობის სხვისთვის გამეტება ეგრე იოლი არ გახლავთ, მაგრამ არაქართველობის გამეტებაში კი ქართველები მეტად ხელგაშლილნი არიან. სტალინი რომ სტალინია, ისინი ზოგჯერ, უკვე ხშირად, იმასაც კი არ აქართველებენ და, თუ დასჭირდათ, ქართველი ერის მამასა და თანამდევ უკვდავ სულსაც მოუძებნიან „სომეხ“ ბებიას, ხოლო, თუ არ დასჭირდათ, დიდი რეჟისორის გამზრდელი ბიცოლაც არაფერია.**

კეთილი და პატიოსანი! მაგრამ სად ქართველი, სად საზოგადოება და სად კიდევ მოქალაქე?! კარგი, მოქალაქეს თავი დავანებოთ. საზოგადოებას რას უშვრები?! საზოგადოება ზოგადს გულისხმობს და ქართველებისათვის რა არის საზოგადო?! მით უმეტეს, სამოქალაქო?! გარდა მაგისა, საზოგადოება „არაქართველებსაც“ მოიცავს და, ხომ შეიძლება სომხებმაც იფიქრონ, ჩვენც საზოგადოებაში ვწერივართ, მოქალაქეები გვქვია და ჩვენც გვინდა „საზოგადოების სრული მობილიზებით“ მონაწილეობა მივიღოთ სოხუმის დაცემის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაშიო, ბატონ გუბაზს ეყოფა გამბედაობა, რომ წინ დაუდგეს მათ? ვისაც დედა ან მამა სომეხი ჰყავთ და, თინა კანდელაკივით ან მიხეილ სააკაშვილივით, ქართველობას იჩემებენ, იმათ? აღარაფერს ვამბობ გვარგადაკეთებულ „ქართველებზე“. რა, პასპორტებს გაუსინჯავს? უსინჯავს, თორემ მაშინვე ეროვნება ან მამის სახელი არ ამოუჩინოს! არა, მამის სახელის ამოღება რაღა იყო? აბა, როგორ გინდა, რომ კაცი, რომელიც ქართველისგან არაფრით გაირჩევა, გაიგო, რომ ქართველი არ არის?! ჰოდა, ეგრე გინდა „ქართველთა მარში“ მოაწყო? „ქართველთა მარში“ კი არა, რამდენიც არ უნდა არჩიო, მაინც საქართველოს მოქალაქეთა მარში გამოვა!

რა არის ეს, ნეოზვიადიზმი? მაგრამ ბატონი ზვიადი ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა: იგი არაფრით არ იხმარდა სიტყვა „საზოგადოებას“, რადგან „საზოგადოება არ არის ერი, ერი სულიერია, საზოგადოება კი არ არის სულიერი“. იგი მას უსათუოდ „ერით“ შეცვლიდა, ერში ეთნოსს იგულისხმებდა, ხოლო ეთნოსში – „წმინდა“ ქართველებს, დედითაც და მამითაც ქართველებს. ამიტომაც აიყვანა ერმა იგი მთაწმინდაზე. ბატონი გუბაზი კი ზვიადივით ლაპარაკობს, მაგრამ ზვიადსავით თანმიმდევრული ვერ არის: ამბობს საზოგადოებაო, გულისხმობს ქართველს და გამორიცხავს მოქალაქეს! ამაზეა ნათქვამი, „ლოგიკამ გზა შეიშალაო“.

ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილის აზრით, თურმე, ქართველი ერი არ არსებულა: „ქართული ნაცია არსებობს თუ არა, ეს საკმაოდ რთული საკითხია. სპეციალისტების, მოაზროვნეების ნაწილი აღნიშნავს, რომ ჩამოუყალიბებელი ნაციაა, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ საერთოდ არც დაწყებულა ეს პროცესი. მაგალითად, 26 მაისის შემდეგ ერთ-ერთმა სახელისუფლო ინტელექტუალმა განაცხადა, რომ ჩვენ გვჭირდება კონსენსუსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ინტელექტუალიც აღიარებს, რომ კონსენსუსი არ არის. თუ კონსენსუსი არ არის, მაშინ ნაციაც არა გვაქვს“.

ნაცია გვაქვს თუ არა, ამას, თუ ეს წერილი გლახა ჭრიაშვილივით არ გამიგრძელდა, ბოლოში მოგახსენებთ (მგონი, მიგრძელდება და ველარ მოგახსენებთ!). რაც შეეხება კონსენსუსს, იგი არსებობს და, მაშასადამე, ერიც არსებობს! ცხადია, ქართველი ერის, ანუ ქართველი საზოგადოების (ერი და საზოგადოება ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა დიალექტიკური მომენტებია) ქართულ ნაწილს ვგულისხმობთ, თორემ ქართულ და არაქართულ ნაწილებს შორის რა კონსენსუსზე შეიძლება საუბარი?! ქართულ ნაწილში კი იგი, რაგინდ პარადოქსულიც არ ჩანდეს, არსებობს და არსებობს!

ბატონ ზაზას, კონსენსუსს რომ გამორიცხავს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მიმართება აქვს მხედველობაში, რაშიც ის ცამდე მართალია. მაგრამ ხელისუფლებას რა ესაქმება ერთან?! ერი საქართველოშია, ხელისუფლება - ამერიკაში! გაცილებით ადვილია საზოგადოების ქართულ და არაქართულ ნაწილებს შორის საერთოს პოვნა, ვიდრე „ქართველ“ ხელისუფლებასა და ქართველ ერს შორის საერთოს პოვნა, მით ნაკლებ „ქართველ“ ხელისუფლებასა და ქართველი ერის ქართულ ნაწილს შორის. მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ქართველი ერის ქართული ნაწილის შიგნით არსებული კონსენსუსი გვაქვს მხედველობაში და ვამტკიცებ, რომ იგი არსებობს.

რა თქმა უნდა, არც ქართველი ერის ქართული ნაწილის შიგნით კონსენსუსის არსებობაა იოლი საქმე, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ მის წიაღში 220 პარტიის არსებობას, თუნდაც ისინი თითო-თითო წევრით იყვნენ „დაკომპლექტებული“, მიათვალეთ მათ ქართველ ინტელექტუალთა რაოდენობა, ყოველი ქართველი ხომ ინტელექტუალია, და პლიუს ამას მათი ქართველობის მომენტი, რაც ყოველი ქართველის განსხვავებისათვის განსხვავებული აზრის ქონას გულისხმობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ შორის მაინც არსებობს კონსენსუსი, ერთადერთი კონსენსუსი, ერთადერთ საკითხში - ქართველობის, უფრო სწორად, არაქართველობის საკითხში!

ქართველისთვის ქართველობის სხვისთვის გამეტება ეგრე იოლი არ გახლავთ, მაგრამ არაქართველობის გამეტებაში კი ქართველები მეტად ხელგაშლილნი არიან. სტალინი რომ სტალინია, ისინი ზოგჯერ, უკვე ხშირად, იმასაც კი არ აქართველებენ და, თუ დასჭირდათ, ქართველი ერის მამასა და თანამდევ უკვდავ სულსაც მოუძებნიან „სომეხ“ ბებიას, ხოლო, თუ არ დასჭირდათ, დიდი რეჟისორის გამზრდელი ბიცოლაც არაფერია.

ქართველი ინტელექტუალების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი რეჟისორის რობერტ სტურუას საჯარო და რეზონანსული განცხადებით, მაგალითად, „სააკაშვილი სომეხია, მე ქართველი პრეზიდენტი მინდა!“

რა არის ჰეკუბა ჩემთვის ან მე თვითონ ჰეკუბასათვის, რომ ასე ცხარე ცრემლებს ვღვრი მისთვის, ვისაც ჩემი სამშობლოდან გაგდებული ვყავვარ, მაგრამ ქართული ანდაზა გვასწავლის: „ლეკი ან თათარი და შენი ძმა რომ ჩხუბობდნენ, სწორი სამართალი მიეციო“. გადასაშენებელია ამის მთქმელი ხალხი?! მაგრამ ის, ვინც უნდა სჯიდეს, თვითონ არის დასჯილი!

არ გამაგიჟოთ რა, ბატონო რობერტ, რანაირად არის ეს არაკაცი სომეხი? დედა მეგრელი ჰყავს, ბებია – იმერელი, გარემოცვა მეგრული, პარლამენტი ქუთაისში გადააქვს, აღარ იცის თურქებს სად შეუძვრეს და (არ იფიქროთ, რომ თურქების საწინააღმდეგო მქონდეს რამე, საქმე აქ უბრალოდ სააკაშვილის „სომხობას“ ეხება) – კიდევ სომეხია?!

წესიერი პოლიტოლოგის ჰამლეტ ჭიპაშვილის შეხსენებით, „სააკაშვილმა თავისი პირით არ განაცხადა, თურქოლოგმა დედაჩემმა მასწავლა, რომ საქართველო და თურქეთი მრავალსაუკუნოვანი მეგობრები არიანო?!. რა უნდა ვილაპარაკოთ იმ ხალხზე, რომელსაც ერთი სიტყვა არ დასცდენია რობერტ სტურუას მხარდასაჭერად?!“

მერედა, გინახავთ სომეხი, რომელსაც მზე და მთვარე თურქეთზე ამოსდიოდეს?! რაც შეეხება რობერტ სტურუას მხარდაჭერას, ერთ სიტყვას კი არა, მთელ წერილს ვუძღვნი.

დიდი რეჟისორის ამ არაპოლიტკორექტული გამონათქვამის გამო, „კულტურისა და ძეგლთა დაცვის“ (განსაკუთრებით „ძეგლთა დაცვის“!) მინისტრმა ნიკა რურუამ, ბატონი რობერტი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა და ორი სპექტაკლის დადგმაში ძალიან ბევრი ფული შესთავაზა: „სახელმწიფო (სახელმწიფოს ცოტა გიკლიათ!-ო.ხ.), რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელთაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს“.

ახლა ბატონი ნიკას პოლიტკორექტული გამონათქვამის გამო გაგიჟდები კაცი: რა შუაშია აქ ქსენოფობია? ქსენოფობია კი არა, პატრიოტიზმია! ბატონ ნიკას კი, ეტყობა, პატრიოტიზმი ქსენოფობიისგან ვერ გაურჩევია. ქართველი რომ ქართველი იყოს და სომეხი - სომეხი, ეს ქსენოფობიაა?! მაგრამ „ძეგლთა დაცვის“ მინისტრმა, რეჟისორის თეატრში „დაბრუნებით“ (ჯერ არ წასულა და რა დაბრუნებაზე შეიძლება იყოს საუბარი?!) და ორი სპექტაკლის დადგმაში ძალიან ბევრი ფულის შეთავაზებით, სიტუაციის განმუხტვა სცადა. მაგრამ რა განმუხტავს ქართველ ინტელექტუალებს (მგონი, უკვე მოგახსენეთ, რომ ყოველი ქართველი ინტელექტუალია), თუ ერთხელ დაიმუხტნენ?! და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! დაიწყო ინტელექტუალური კონსენსუსი: „მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!..“ „მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!..“ „მეც ქართველი პრეზიდენტი მინდა!..“ (გვარებს არ დავასახელებ, რადგან ყველა რომ დავასახელო, გაზეთის ფურცლები არ გვეყოფა. ამიტომ „საზოგადოების“ ზოგიერთი რჩეული წევრით შემოვიფარგლოთ).

რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის აზრით, მაგალითად, რობიკო ქსენოფობი კი არა კოსმოპოლიტია: „რას ნიშნავს ქსენოფობია? მას საწინააღმდეგო არაფერი აქვს სომხებთან – სომხები ძალიან მიყვარან, ბიცოლა სომეხი მყავდა, მაგრამ მე არ მინდა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი სომეხი იყოსო... თუ დააკვირდით, ყველა დაეთანხმა იმ აზრს, რომ სააკაშვილი სომეხია, არავინ გააპროტესტა... რობიკოს ნაციონალიზმი და შოვინიზმი გამოგონილი ამბავია. მე, მაგალითად, რობიკო მიმაჩნია ყველაზე კოსმო-

პოლიტად საქართველოში... ვფიქრობ, ზაზა პაპუაშვილი წავა თეატრიდან, ამ ამბავს არ შეეგუება, იმიტომ, რომ ბევრი სპექტაკლი აქვთ ერთად გაკეთებული მას და რობიკოს“.

„ბატონი გიგა უკეთ იცნობს კოლეგას (Рыбак рыбака видит издалека) და დაეჯერება, რომ რობიკო კოსმოპოლიტია, მაგრამ როგორ ეთანხმება რობიკოს კოსმოპოლიტობა მის ეთნიკურ „პატრიოტიზმს“?! კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმს დიდი ვაჟაც უთანხმებდა ერთმანეთს (იხ. მისი სტატია „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“), მაგრამ მას ეროვნული პატრიოტიზმი ჰქონდა მხედველობაში და არა ეთნიკური „პატრიოტიზმი“. კოსმოპოლიტობა და ეთნოპატრიოტობა კი ერთად ვერ მოძოვენ!

ამიტომ უკვირს რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს...

„ბატონო რობერტ, მე თქვენ დიდი ხანია გიცნობთ, ვიცი თქვენი კეთილშობილების შესახებ და არ შემიძლია დავიჯერო ის, რომ თქვენ ქსენოფობი და რასისტი ბრძანდებით. რა მოხდა?“

პასუხს აქ მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ნათქვამ სიტყვას, როგორც გაფრენილ ჩიტს, ველარ დაიჭერ. თუმცა ბატონი რობერტი არც ცდილობს, დაიჭიროს და გულახდილად იმეორებს იმავე „არაპოლიტკორექტული“ გულახდილობით: „მე პირდაპირ ვთქვი, სააკაშვილი სომეხია და მალავს, არ მინდა, რომ ჩემი პრეზიდენტი არაქართველი იყოს-მეთქი!“

და კიდევ ერთხელ ვაცხადებ, სააკაშვილი არის გამოხოხებული სომეხი. მე რომ ამას ვამბობდი, მაშინ რობიკოს, საერთოდ, არ ჰქონდა ნათქვამი მსგავსი რამ, მაგრამ ახლა ცოტა ეჭვი კი მეპარება, არის კი სააკაშვილი სომეხი?.. იმიტომ, რომ სომხები ჭკვიანები არიან, ეს კი - ტანსაცმლიანი სულელია!“

ბატონ რეზოს ვერ შევედავები იმაში, რომ სააკაშვილი სულელია, მაგრამ ტანსაცმლიანი აღარ არის: მან უკვე გაიხადა! პოეტს იგი, ჩანს, ანაკლიამდე ჰყავს ნანახი. ანაკლიაში კი, ბატონი მიხეილი ზღვიდან ნიფხვის ამარა „გამოხოხდა“ (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა ვერ გამოვიცანი, მაგრამ „ძაან“ მომეწონა) და მისი ხილვით ალტაცებულ შაოსან ბებიას ხელი რომ არ ასცდენოდა, მთლად დედიშობილას ვიხილავდით მის პრეზიდენტულ აღმატებულებას.

რაც შეეხება მის სომხობაში დაეჭვებას, ამაში პოეტი ჭეშმარიტებასთან ახლოა: სომხები რომ ჭკვიანები არიან, ხოლო სააკაშვილი სულელი, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. მაგრამ სულელი სააკაშვილი როგორ გამოდის სომეხი (ეს კითხვა იმათ ეხებათ, ვისაც ეჭვი არ ეპარებათ, რომ სომეხია)?! რომელი სომეხი გინახავთ, საკუთარი „მამული“ გაეყიდოს და ის ფული კონცერტებში გაეფლანგოს?! მაიცა, მაიცა, სომეხი კი არა, მგონი ქართველია: ქართველები არ იყვნენ, მამულებს რომ ყიდიდნენ და ფულს ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავდნენ?! თანაც, სულ ნარჩევ-ნარ-

# ცნობიერების და ეროვნული დეფიციტი

ყველა ყველა, მაგრამ ზაზა პაპუაშვილის თეატრიდან წასვლა რა შუაშია?! მერე რა, რომ ბევრი სპექტაკლი აქვთ ერთად გაკეთებული მას და რობიკოს, ველარ ისწავლა დამოუკიდებლად სპექტაკლის გაკეთება?! თუ ვერ ისწავლა, მართლა წასასვლელი ყოფილა! საპროტესტო (ისე, ვერ გავიგე, რის საპროტესტო, რადგან ამბობენ, თეატრიდან ისედაც წასვლა უნდოდაო, თუმცა ჯერჯერობით არსადაც არ წასულა) აქციის ხელმძღვანელობა, საპატიო საქმეა, მაგრამ ერთი რამ არის უცნაური: ბატონ ზაზას რამდენჯერმე დაურეკია ბატონი რობერტისათვის აქციის საორგანიზაციო საკითხების შესათანხმებლად, მაგრამ რეჟისორი თურმე მას ტელეფონზე არ ეპასუხება. ამ დროს, დიმა ჯაიანი და გიგა ლორთქიფანიძე აცხადებენ, პირადად ვესაუბრეთო. ამიტომ ხომ არ აჯობებდა, რომ ბატონ ზაზას აქციის ხელმძღვანელობა ბატონი დიმასა და ბატონი გიგასათვის მიენდო?!

მსახიობ ბესო ზანგურის (ზანგურაშვილის) მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა (აი, ვის სჭირდება მხარდაჭერა!): „გამორიცხული არ არის, თეატრიდან წავიდე... ასეთ დროს მირჩევნია, წავიდე თეატრიდან და საერთოდ, ქვეყნიდან... თუ სტურუას დასჭირდება, თეატრსაც დავტოვებთ და ქვეყანასაც“.

ვაიმე, „შვილებო“, რა დღეში ჩაუყრიხართ მამაძაღლ სეთურს!.. მაგრამ ბატონ ბესოსა და ზაზას რა უჭირთ, მათზე უარეს დღეში ყოფილა ტელეწამყვანი თინა კანდელაკი.

ქალბატონი თინა, რომელსაც დედა სომეხი ჰყოლია, ჩივის, გულსა მგლეჯენო, მაგრამ ვერ გაუგია ვინა ჰგლეჯს: „გამოდის, რომ დიდ ქართველ რეჟისორს პრეზიდენტში მხოლოდ მისი ეროვნება არ აძლევს ხელს. ყველაფერი დანარჩენი, როგორც ჩანს, უზადოა, მიხეილ ნიკოლოზის ძეს სხვა ნაკლი არ გააჩნია... რეჟისორის ქსენოფობია თითიდანაა გამოწოვილი... მე არასოდეს დამიმალავს, რომ დედა სომეხი მყავს, რომ კარგად ვფლობ სომხურ ენას, მიყვარს და შესანიშნავად ვერკვევი სომხურ კულტურაში. მაგრამ გული ქართველის მაქვს და სააკაშვილი ვერასოდეს შეძლებს მის ამოგლეჯას“.

კი, მაგრამ ამ შემთხვევაში სააკაშვილი რა შუაშია?! სააკაშვილმა თქვა, თინა სომეხია იმიტომ, რომ დედა ჰყავს სომეხიო?! ქალბატონი თინათინი რომ ქართველია, მსჯელობაზეც ეტყობა, მაგრამ როგორ დაამტკიცოს ტელეწამყვანმა, რომ ქართველია, როცა პრეზიდენტს ვერ დაუმტკიცებია თავისი ქართველობა?!.

მაგრამ პოეტი რეზო ამაშუკელი ამტკიცებს, რომ სააკაშვილი ქართველია: „რა არის ქსენოფობია? სომეხს რომ უთხრა, სომეხი ხარო, ეს ქსენოფობიაა? მე რომ მითხრას ვინმემ, იმერელი ხარო, ან შენ რომ გითხრას, მეგრელი ხარო (ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას მიმართავს. - ო.ხ.), ეს ქსენოფობიაა?.. არაერთხელ მითქვამს ჩევი გვარიშვილები, ვის ქართველობაშიც, მიუხედავად მათი ქართლელობისა, ბატონი რეზო ეჭვს ველარ შეიტანს. მაგ ფანტიაობის გამო არ უწოდეს სომხებმა მათ „გიჟვრაცუები“?! ეს, ცხადია, იმერლებს არ ეხებათ: მათ უმრავლესობას თავადობა ნაყიდი ჰქონდა და რა მამულებს გაყიდიდნენ, რაც არ ექვავათ?! ან გასაფლანგი რა ჰქონდათ, ან საგიჟვრაცუე?!

„ამდენად, იმერლები გიჟვრაცუობისაგან დაზღვეული არიან. ამიტომაც ვინმემ რომ უთხრას იმერელს, იმერელი ხარო, რა თქმა უნდა, არ უნდა ეწყინოს. მაგრამ სომეხმა რომ უთხრას? ამას უკვე გააჩნია: თუ იმერელს სომეხზე ჭკვიანად მიაჩნია თავი, რატომ უნდა ეწყინოს?! ხოლო თუ სომეხზე სულელად, — ცხადია, ეწყინება! იმერლები რომ ქართლელებზე ჭკვიანები არიან, ეს უკვე დავამტკიცეთ. მაგრამ აქ ერთი რამ არის გაუგებარი: იმის მაგივრად, რომ სომხებისაგან ქართლელები იყვნენ ნაწყენი, პირიქით - მეტწილად იმერლები არიან განაწყენებული!

ისე, საწყენია, როგორ არ არის საწყენი, როცა სტუმარს ოჯახში უშვებ, ის კი შენ, მასპინძელს, „გიჟვრაცუას“ გიწოდებს: „ამე, თავში არ აქვს ჭკუა, აი კიდევ გიჟვრაცუა!“ მაგრამ რა უფრო საწყენია - როცა სტუმარი სულელური საქციელისათვის „მტრულად“ პირში გძრახავს, თუ როცა ამ საქციელს გიწონებს: „მოუწონებ, ეამება, გაბრიყვდება ამ ქებითო და ჩვენ კი რა გვენაღვლება, ვახშმადაც აქ დავრჩებითო“?!

მწერალი თამაზ წივწივაძე კი რეზო ამაშუკელსაც არ ანებებს პირველობას, ოღონდ იმის დამტკიცებაში, რომ სააკაშვილი სომეხია და არა იმისაში, რომ ქართველია: „ამ ფაქტის აღნიშვნა ბატონ რობერტ სტურუას მე ბევრად დავასწარი! მაგრამ მჯობნის მჯობნს რა დალევს - მე კიდევ „არმენ-პრესმა“ დამასწრო! იმათ პირველებმა თქვეს: „საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში ეთნიკურმა სომხებმა გაიმარჯვესო“! მე კიდევ, რაკი ეს ინფორმაცია მქონდა, მისი ტირაჟირება ჯერ ერთ-ერთ ჟურნალში მოვახდინე... ასე რომ, ბატონი რობერტ სტურუა ტყუილუბრალოდ დაისაჯა - მან ეს ამბავი (სააკაშვილის სომხობა) შეიძლება ჩემგან ან პირდაპირ „არმენ-პრესიდან“ გაიგო. ცხადია, სააკაშვილს ჩემი დასჯაც შეეძლო, მაგრამ ამის საშუალება მე თვითონ არ მივეცი - რომ ვერ მოვეხსენი, ზედიზედ და თანამიმდევრულად დავტოვე ჩემივე რჩეული თანამდებობები: მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობა და დავით ალმაშენებლის საზოგადოების პრეზიდენტობა“.

ბატონი თამაზი რომ ტყუილს არ იკადრებს, ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ რა შუაშია „დასჯა“?! რობერტ სტურუა არავის დაუსჯია. ბატონ რობერტს აშოროს, მაგრამ დასჯილები ციხეში სხედან, როგორც, მაგალითად, პროფესორი ვლადიმერ ვახანია, ფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი და სხვანი და სხვანი, აღარაფერს ვამბობ იმათზე, ვისაც, თავის დროზე თუ დღესაც, ციხეც სანატრელი გაუხადეს... რეჟისორს კი ეხვეწებიან, „დაბრუნდიო“, მაგრამ არ უნდა და - მაგის გულისთვის ხომ არ დაიჭერენ და დასჯიან?! თვითონვე ამბობს: „თეატრში დარჩენა არ მინდა, იმიტომ, რომ ძალიან შეურაცხყოფილი ვარ! მე რომ ვთქვი, სააკაშვილი სომეხიამეთქი, ეს სააკაშვილს კი არ უნდა სწყენოდა, არამედ უნდა სწყენოდათ სომხებს და, მგონი, ეწყინათ კიდეც, რადგან ერთმა ქალბატონმა მომწერა, ჩვენ - სომხები სააკაშვილისნაირები არა ვართო!“

სომხები დილიჟანში წავიდნენ და ცივი წყალი დალიონ, ქართველებს კი „სომეხმა“ სააკაშვილმა (ველარ გავიგე, ეს კაცი სომეხია თუ ქართველი?!) გულის გასაგრილებლადაც აღარ დაგვიტოვა წყალი! ველარც ეს გავიგე, სომხებმა აწყენინეს ბატონ რობერტს თუ ბატონმა რობერტმა სომხებს? სომხებმა ვის რა აწყენინეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ბატონი რობერტი კი შეურაცხყოფილი დარჩენილა იმით, რომ ძალიან ბევრი ფული შეუთავაზებიათ: „ჯერ გამაგდეს, მერე მეუბნებიან, ორი სპექტაკლი დადგი, დიდ ფულს მოგცემთო. უკვე აღარ ვარ ქსენოფობი? გმირი არ ვარ, ადამიანი ვარ, თავისუფალი ადამიანი. ჩემს თავს პატივი ხომ უნდა ვცე. რაღაც ისეთი ნაბიჯი უნდა გადავდგა, რაც სინდისთან არ ლაგდება. ეს იმას ჰგავს, როცა ეარშიყები ქალწულს, მოხდა აქტი და მერე ეუბნები — წადი შე კახპაო. ჩემი იქ დაბრუნება იქნება კახპად დაბრუნება. შეურაცხყოფა მომაყენეს, დამცინეს, რასიზმი დამწამეს და ახლა მეუბნებიან - საყვარელო, მოდი და ძალიან ბევრ ფულს მოგცემთო“.

აბა აბა, ფულზე არ იყოს ლაპარაკი! ბატონი რობერტისათვის ფული არაფერსაც არ ნიშნავს: „ვერ აიტანა ჩემმა გულმა (მაიცა, მაიცა, თინა რომ ამბობდა, სააკაშვილმა გული ამომგლიჯაო, ბატონ რობერტსაც გული ხომ არ ატკინა, ბიცოლა სომეხი გყავდა და ამიტომ შენც სომეხი ხარო? მაშ, გული რა შუაშია?!) და ამიტომ ასე თავშეუკავებლად და დაუფარავად ვამბობდი იმას, რასაც სიმართლედ ვთვლიდი...

**სააკაშვილს თუ აწყენინე, მოგკლავს ან, სულ ცოტა, ციხეში ჩაგსვამს; დიდ რეჟისორს თუ აწყენინე, შეურაცხყოფილი დარჩება; ხოლო სომხებს თუ აწყენინე, ცივი წყალი დალიონ! თუმცა საქმე აქ არც სომხების წყენინებას ეხება და არც ქართველებისას; საქმე ეხება მსოფლიო რეზონანსის მქონე რეჟისორის მიერ საკუთარი თავის წყენინებას – „ქსენოფობის“ იარლიყის საკუთარ თავზე მიკვრას, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ ერსაც აკრავს, რომელსაც მსოფლიოს თვალში წარმოადგენს!**

არავითარ გამორჩენაზე არ მიფიქრია“.

ბატონ რობერტს იმხელა ხელფასი ჰქონია, რომ გამორჩენა რა სახსენებელია?! რუსთაველის თეატრის გამგებელის ზაალ ჩიქობავას ცნობით, რობერტ სტურუას სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე თვეში 6250 ლარი ჰქონდა და თეატრის დირექტორობის შეთავსებაც სურდაო. ისე, საინტერესოა, რამდენს სთავაზობენ, რომ „დაბრუნდეს“? მაგრამ, მგონი, არსადაც არ წასულა და, თუ არ წასულა, როგორ დაბრუნდება?!

კაცმა რომ თავის თავს უნდა სცეს პატივი, ეს ქართველებს არ შეგვეშლება. გასაკვირი ის არის, ზოგჯერ პირიქით რომ იქცევიან. ვასო გოძიაშვილი იხსენებდა: ძველი, გაცრეცილი პალტოთი დავდიოდი, მარჯანიშვილმა დამიძახა და მითხრა: აჰა, წადი, ახალი პალტო იყიდე, როგორ დადიხარო. „მსახიობის თეატრის“ შემქმნელს თვითონაც უჭირდაო,- დასძინა ბატონმა ვასომ. მაშინ რეჟისორებისა და მსახიობების ხელფასებს შორის ასეთი შეუსაბამო განსხვავება არ არსებობდა. სტალინი ცოცხალი იყო და - რეჟისორებს კი არა, პოლიტბიუროს წევრებსაც აკრძალული ჰქონდათ, მუშაზე მაღალი ხელფასები ჰქონოდათ.

ქალწულთან არშიყობა შეიძლება; ალბათ, „აქტიც“ — აბა, სულ ქალწულად ხომ არ უნდა დარჩეს?! მაგრამ ქალწულს ისე მოექცე, როგორც კახპას, ეს მკრეხელობაა. ამიტომ გამართლება არა აქვს ბატონ რურუას (ისე, მის მდგომარეობაშიც უნდა შევიდეთ: დაილალა კაცი ძეგლების „დაცვით“!), რომ „ქალწულს“ ისე მოქცევია, როგორც კახპას.

რაც შეეხება წყენინებას, ეგეც, ეტყობა, გრადაციით არის: სააკაშვილს თუ აწყენინე, მოგკლავს ან, სულ ცოტა, ციხეში ჩაგსვამს; დიდ რეჟისორს თუ აწყენინე, შეურაცხყოფილი დარჩება; ხოლო სომხებს თუ აწყენინე, ცივი წყალი დალიონ! თუმცა საქმე აქ არც სომხების წყენინებას ეხება და არც ქართველებისას; საქმე ეხება მსოფლიო რეზონანსის მქონე რეჟისორის მიერ საკუთარი თავის წყენინებას - „ქსენოფობის“ იარლიყის საკუთარ თავზე მიკვრას, რასაც, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ ერსაც აკრავს, რომელსაც მსოფლიოს თვალში წარმოადგენს!

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძეც სააკაშვილს აბრალებს რობერტ სტურუას შეურაცხყოფას: „სტურუასნაირი დიდი ხელოვანი შეუძლებელია ქსენოფობი იყოს!.. ახლა გამოდის ტელევიზიით ვინმე არნოლდ სტეფანიანი და დიდი მოწონებით ხვდება „ქსენოფობი“ რობერტ სტურუას დასჯას! თუ სააკაშვილი მართლა რუსეთის აგენტებს ეძებს, რატომ აპარპაშებს ამ არნოლდ სტეფანიანს?! ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით, ეს ვაჟბატონი რუსეთის აშკარა რეზიდენტია საქართველოში და ყველაფერს აკეთებს აქ შუღლის გასაღვივებლად! მაგრამ, როგორც ჩანს, სააკაშვილს ძალიან ემშობლიურება სტეფანიანი, რადგან ამ ვაჟბატონებს საერთო მიზნები აქვთ — მათ სურთ, ქართველი ერი მსოფლიოს თვალში შეუწყნარებელ ბრბოდ წარმოადგინონ! ასეთ ვითარებაში კი სააკაშვილისათვის ადვილი იქნება, თავი ჭეშმარიტ კოსმოპოლიტად, უმცირესობის დამცველად და „დემოკრატიის შუქურად“ გაასაღოს!“

იმის მიხვედრა, რომ სააკაშვილს სურს ქართველი ერი მსოფლიოს თვალში შეუწყნარებელ ბრბოდ წარმოადგინოს, ხოლო საკუთარი თავი - მის ფონზე ჭეშმარიტ კოსმოპოლიტად, უმცირესობის დამცველად და „დემოკრატიის შუქურად“, ბატონი ელიზბარის შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს. მაგრამ საკითხავია: რატომ აძლევენ რობერტ სტურუა და, მასთან ერთად, ქართველი ინტელექტუალები, სააკაშვილს ამის საშუალებას?!

სააკაშვილისაგან ეშმაკური ჩანაფიქრები გასაკვირი არ არის, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი თავისი რეპუტაციის ხარჯზე აკეთებდეს ამას. საფიქრებელი უფრო ის არის, რომ სააკაშვილის გარემოცვიდან მომდინარეობდეს ეს, სახელდობრ, იმათგან, ვინც მის ადგილზე „გაუმჯობესებული მიშას“ მოყვანას გეგმავს და მიშას „გასომხებით“ ადგილს უთავისუფლებენ მას! მიშა მაგარია, მაგრამ „გაუმჯობესებული მიშა“ და მისი შეთქმულები მიშაზე მაგრები იქნებიან! „გაუმჯობესებულში“ კი ის იგულისხმება, რომ, დედით „ქართველობასთან“ ერთად, მამითაც „ქართველი“ იქნება, თორემ მაგათ რა გააუმჯობესებს?!

რაც შეეხება ეთნოსთაშორის შუღლს, მას არნოლდ სტეფანიანი კი არ აღვივებს, არამედ ისინი, ვინც „მულტიეთნიკურ სახელმწიფოში“ (სახელმწიფოობას ცოტა უკლია!) ქსენოფობიურ თუ არმენოფობიურ სპექტაკლებს დგამენ და ის ქართველი „ინტელექტუალები“, რომლებსაც საქართველოს მოქალაქე სომხები — ქართველი ერის ეს პოტენციური ნაწილი მეზობელი სომეხი ერისაგან ვერ გაურჩევიათ და, მისი ძალით გაუცხოებით ქართველი ერის დეზინტეგრაციასა და ქართული სახელმწიფოს პერსპექტივის მოსპობას უწყობენ ხელს. სტეფანიანებისა და ძმათა მისთა მოქმედება კი რეაგირებაა მათ ქმედებაზე და არა პირველმოქმედება.

ბატონ ელიზბარს უნდა შევახსენოთ, რომ სტეფანიანი „ვინმე“ არ არის: იგი საქართველოს მოქალაქეა და, როგორც ასეთი, მას უფლება აქვს, პროტესტი გამოთქვას თავის საზოგადოებაში (ეს საზოგადოება მისიც არის) გაჩენილი ქსენოფობიის ნიშნების გამო, მით უმეტეს, რომ ეს მას პირადად ეხება. „მრავალეროვანი საქართველოს“ თვითმარქვია ლიდერს კი იმას შევახსენებთ, რომ ერთ სახელმწიფოში ორი ერი არ არსებობს, არსებობენ ეთნოსები, რომლებიც ყველანი ქართველი ერის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ, როგორც საფრანგეთში ყველანი — ფრანგებს, თურქეთში — ყველანი თურქებს და ა.შ. სომეხი ერი სომხეთში ცხოვრობს და ქართველ ერს მასთან უბრალოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულება მართებს, ისევე როგორც სომეხ ერს — ქართველ ერთან. ქართველ სომხებს კი უფლებებიც და მოვალეობებიც ქართველი ერის წინაშე აქვთ და არა სომეხი ერის წინაშე. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ ბატონმა არნოლდმა თავის ორგანიზაციას „მრავალეთნიკური საქართველო“ უწოდოს და არა „მრავალეროვნული“. საქართველოში მცხოვრები და საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხები, ოსებთან, აფხაზებთან, აზერბაიჯანელებთან და სხვა „არაქართველებთან“ ერთად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივად ისეთივე ქართველები არიან, როგორც ქართლელები, კახელები, იმერლები, გურულები, მეგრელები და ა.შ. „ასეა ეს“!

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე
22.09.2011

დემოკრატია რუსულად

# პუტინი ისევ პრეზიდენტად

**პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, რომელმაც პოსტ-საბჭოთა რუსეთი საგრძნობლად გარდაქმნა ისე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი ნაწილი კრემლის კონტროლს დაუქვემდებარა, როგორც შაბათს გაირკვა, მომავალ წელს პრეზიდენტად დაბრუნებას შეეცდება და შეიძლება ამ პოსტზე 2024 წლამდე დარჩეს, რათაც მისი მმართველობა ხანგრძლივობით ბრეჟნევის ან სტალინის მმართველობის ვადას გაუთანაბრდება.**

შაბათს, მოსკოვში, „ერთიანი რუსეთის" ყრილობაზე პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ის ამ პოზიციას პუტინს უთმობს, რომელიც 2000-2008 წლებში პრეზიდენტად მსახურობდა, მაგრამ კონსტიტუციით ამ თანამდებობაზე მუშაობა ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით შეეძლო. ბ-ნი მედვედევი მარტის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომელშიც პუტინი აუცილებლად გაიმარჯვებს, პრემიერ-მინისტრის ადგილს დაიკავებს.

განცხადებას დარბაზში, სადაც პუტინის პარტიის „ერთიანი რუსეთის" 11 000 მხარდამჭერი შეიკრიბა, მქუხარე ტაში მოჰყვა. მედვედევის სახეზე, რომელიც უზარმაზარ ეკრანზე მოსჩანდა, ღიმილმა გაიელვა, რადგან დარბაზი ახმაურდა, ფეხზე წამოდგა და პუტინს მიუბრუნდა, რომელიც იქვე იჯდა.

ამ ნაბიჯმა დაასრულა ის გაურკვევლობა, რომელიც რუსეთის შიგნით და მის გარეთ არსებობდა იმ საკითხებთან დაკავშირებით, აპირებდა თუ არა პუტინი საკუთარი ძალაუფლების შესუსტებას. გადაწყვეტილების მიზეზი არც ერთ ლიდერს არ აუხსნია, მაგრამ პუტინმა განაცხადა, რომ გარიგება რამდენიმე წლის წინათ შედგა. თუკი ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ მედვედევის პრეზიდენტობა და ის დაძაბულობა, რომელიც მისი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვას ახლდა თან, ორგანიზებული პოლიტიკური სპექტაკლი ყოფილა, რომელმაც მსოფლიოს დიდი ნაწილი ჩაითრია.

ცვლილება ერთგვარ გაურკვევლობას უქმნის მომავალში შეერთებული შტატებისა და რუსეთის ეგრეთ წოდებული გადატვირთვის პოლიტიკას, რომელსაც ხელი შეუწყო პოზიტიურმა ურთიერთობამ პრეზიდენტებს მედვედევს და ობამას შორის. მაგრამ ობამას ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა შაბათს ამგვარი წუხილის საფუძველი უარყო და განაცხადა, რომ ამერიკელი ჩინოვნიკები „შეგნებულად გაურბოდნენ ფავორიტების პოლიტიკას".

ქუჩაში, მოქალაქეების უმრავლესობა გაკვირვებული არ ჩანდა. პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას თან ახლდა ნავთობიდან შემოსავლების ზრდა და რუსების უმრავლესობა 1990-იანი წლების ქაოტური პლურალიზმის მიმართ ნოსტალგიას არ განიცდის. პუტინის ოპოზიცია იზრდება, თუმცა დიდწილად ისეთ ადგილებში, როგორიც მოსკოვია, სადაც მოქალაქეები ინფორმაციას ინტერნეტით იღებენ და მთავრობის სოციალურ დახმარებებზე ნაკლებად არიან დამოკიდებული.

ცოტა რამ თუ ადასტურებს იმას, რომ ამ ნაბიჯს დრამატული სტრატეგიული ცვლილებები მოჰყვება. მედვედევი პოლიტიკური და სასამართლო რეფორმებისკენ მოუწოდებდა, რაც კრემლის ძალაუფლების დეცენტრალიზაციას მოახდენდა. ამ რიტორიკის გამო მან დასავლეთსა და პროგრესულ წრეებში ბევრი ადამიანის მხარდაჭერა მოიპოვა. მაგრამ დიდწილად, ის სუსტ მმართველად განიხილებოდა, რომლის ინიციატივებიც პუტინის ვეტოს საგანს წარმოადგენდა. იმავდროულად, ბოლო თვეების განმავლობაში პუტინი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს რეფორმატორობას სწორედ ის შეძლებდა, იმოსებოდა ცარისტული ეპოქის პრემიერ-მინისტრის პეტრე სტოლიპინის მანტიაში.

შაბათის გამოსვლაში, ის მდიდრებისთვის ზოგიერთი გადასახადის გაზრდის წინადადებით გამოვიდა და ისეთ საკითხებს შეეხო, რომელიც მედვედევის „ტერიტორიად" ითვლებოდა.

„ჩვენ ღიად უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ჩვენი ეკონომიკა ნედლეულზეა დამოკიდებული, რომ სახიფათო ზღვარს აღწევს სოციალური უთანასწორობა, ძალადობა, კორუფცია, უსამართლობა და მოწყვლადობა, რომელსაც ადამიანები განიცდიან, როდესაც საქმე აქვთ სახელმწიფო ორგანოებთან, სასამართლოებთან და კანონების რეალიზაციასთან ცხოვრებაში", – თქვა პუტინმა.

პუტინის რეფორმატორული ხედვა, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს დამაჯერებელი უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლებიც რუსეთში ბიზნესის კლიმატთან დაკავშირებით კმაყოფილებას ნაკლებად გამოთქვამენ. მთავარი პრეტენზია კი ის არის, რომ პუტინის მმართველობა ისე აკნინებდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომ მთავარი შეთანხმებებიც კი ქვეყნის ლიდერებთან პირად ურთიერთობებზე იყო დამოკიდებული.

როგორც მოსალოდნელია, პუტინს მომდევნო წლებში მტკივნეული და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევს, რადგან ნავთობის მოპოვების დონე მცირდება, ხოლო რუსების ცხოვრების დონის ზრდა შენელებულია. 2014 წელს, რომლისთვისაც დაგეგმილია, რომ სამომხმარებლო საქონლის იმპორტმა ნავთობმოპოვებას უნდა გაუსწროს, მთავრობა იგრძნობს, რომ სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე.



საზოგადოებრივი აზრის ფონდის მონაცემებით, მმართველი პარტია „ერთიანი რუსეთი" ნელ-ნელა კარგავს პოპულარობას. იანვრის შემდეგ მისი რეიტინგი 9 პუნქტით შემცირდა. ამიტომ იმ ფონზე, როდესაც მომდევნო არჩევნებიდან არც ერთი (დეკემბერის საპარლამენტო და მარტის საპრეზიდენტო არჩევნები) ამომრჩეველს არსებული რეჟიმის ალტერნატივას არ სთავაზობს, ეს სახელმწიფო ბიუჯეტისა და მოქალაქეების მოთმინებისთვის სერიოზული ტესტი გახდება.

მაგრამ ამ პრობლემებს არ შეულახავს შაბათის ყრილობის საზეიმო ატმოსფერო ან პუტინის ფანების კმაყოფილება.

„როდის მომხდარა რუსეთის ისტორიაში ასეთი მაღალი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემა ასე მშვიდობიანად, ასე ღირსეულად, სამართლიანად და ასეთ მეგობრულ ატმოსფეროში?" – განაცხადა ეპისკოპოსმა ვსევოლოდ ჩაპლინმა, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალჩინოსანმა სააგენტო „ინტერფაქსთან" ინტერვიუში.

უდავოდ, პუტინი ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, და მარტის არჩევნებში მას სავარაუდოდ სიმბოლურ კონკურენციას გაუწევენ, მით უფრო ნებისმიერი ოპოზიციური პარტიის სრული იზოლაციის ფონზე. მედვედევის, როგორც პრეზიდენტის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, საპრეზიდენტო ვადის ექვს წლამდე გაზრდა იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ პუტინს ამ თანამდებობაზე 12 წლით დარჩენა შეუძლია.

ბოლო თვეებში, პუტინი, რომელიც ოქტომბერში 59 წლის ხდება, ფაქტობრივად არ ტოვებდა ეჭვს იმის თაობაზე, რომ „რუსეთის მმართველ ტანდემში" წამყვან პოზიციებზე აპირებდა დარჩენას. ის ტელევიზიით ხან მოტოციკლეტთან ჩნდებოდა, ხან ყვინთავდა და ხანაც რიგით მოქალაქეებთან დიალოგში მონაწილეობდა. მას შემდეგ, რაც მედვედევმა ამ თვეში იაროსლავლში სიტყვა წარმოსთქვა, ანალიტიკოსმა ლილია შევცოვამ მოსკოვის კარნეგის ცენტრიდან, თავისი ბლოგი ამ თემაზე ასე დაასათაურა „თამაშის ბოლო აქტი".

მედვედევმა პრეზიდენტობის დროს თავისი მხარდამჭერების წრე შექმნა, და შაბათს იგრძნობოდა, რომ ამ ადამიანებს იმედი გაუცრუვდათ. მედვედევის ერთ-ერთი ყველაზე ახლო თანაშემწის არკადი დვორკოვიჩის კომენტარი Twitter-ზე ამ ყრილობის მიმდინარეობის დროს ასეთი იყო, „ზეიმის მიზეზი არ არსებობს", და შემდეგ „ახლა დროა სპორტულ არხზე გადავრთოთ". ყველაზე მკვეთრი კომენტარი გავლენიანმა პოლიტკონსულტანტმა გლებ პავლოვსკიმ გააკეთა, რომლის ხანგრძლივი კონტრაქტი კრემლთან გაზაფხულზე შეწყდა.

„ფაქტია, რომ პრეზიდენტმა, როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, უღალატა მათ, ვისაც მისი სჯეროდა – ეს პოლიტიკური თვითმკვლელობაა, მაგრამ მას ამის უფლება აქვს", – უთხრა პავლოვსკიმ „ეხო მოსკვის". მან ამ ნაბიჯს „რუსეთში პრეზიდენტობის ინსტიტუტის პრესტიჟზე დარტყმა" უწოდა.

ზოგიერთმა პოლიტოლოგმა ეჭქვეშ გააყენა პუტინის განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინათ არის მიღებული. ეკონომისტმა მიხეილ დელიაგინმა, რომელიც ადრე მთავრობაში თანაშემწის პოზიციაზე მუშაობდა, განაცხადა, რომ მედვედევმა „დამოუკიდებლობის ხარისხი აჩვენა", და ის რომ მეორე ვადით აერჩიათ, შეიძლება ეცადა „გამხდარიყო ნამდვილი და არა ფორმალური პრეზიდენტი".

„მე ვიცი, რომ პუტინმა და მედვედევმა რამდენჯერმე განიხილეს თავიანთი გარიგება, და რომ დრო და დრო ეს საუბრები საკმაოდ რთული იყო", – თქვა გლობალიზაციის საკითხების ინსტიტუტის დირექტორმა ბ-ნმა დელიაგინმა. „იყო მომენტები, როდესაც აბსოლუტური განცდა არსებობდა იმისა, რომ მედვედევი ივიწყებდა ამ გარიგებას და ცდილობდა საკუთარი თამაში ეთამაშა. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ სუსტი ყოფილა".

**ხელენ ბარი,**
**მაიკლ შვირცი**
The New York Times

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელი, რომელმაც ფეხი მოიტეხა ლაშქრობაში, ოთხი დღე მიხოხავდა უდაბნოში, მას შთააგონებდა ფილმი „127 საათი"**

ამოს უეინ რიჩარდსი მშვიდობიანად გამოვიდა უდაბნოდან იუტას შტატში. ის მიხოხავდა ქვის უდაბნოში თავისი მანქანისკენ, სადამდეც დაახლოებით 8 კილომეტრი იყო. მამაკაცმა, რომლის შესახებაც გადაიღეს ფილმი ამ ცოტა ხნის წინათ, 2003 წელს მოიჭრა კაჭარში ჩავარდნილი ხელი იმავე კანიონში, სადაც რიჩარდი ჩამოვარდა.

* * *

**ბულგარეთში ასობით დამარბეველი ცეცხლს უკიდებდა ბოშების სახლებსა და მანქანებს: მათი ბარონის ავტომანქანამ გაიტანა ადგილობრივი ჭაბუკი**



გასულ პარასკევს სოფელ კატუნიცაში ბოშების მიკროავტობუსმა გაიტანა 19 წლის ახალგაზრდა. ასობით ადგილობრივი მცხოვრები შეიარაღდა ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლებით და დაიძრა ბოშების ბარონის სახლისკენ, მოითხოვდნენ, რომ მის კლანს დაეტოვებინა სოფელი. საქმეში პოლიცია ჩაერია, მაგრამ დამარბევლებმა მაინც მოასწრეს რამდენიმე სახლისთვის ცეცხლის წაკიდება.

* * *

**ჩინეთი შეიჭრა რუსეთის გავლენის სფეროში არაჩვეულებრივი მიმართულებიდან, დაარტყა დასავლეთიდან**

ჩინეთის სახალხო რესპუბიკამ ხანგრძლივი შედეგების იმედით დაიწყო



პოლიტიკური თამაში იმ ქვეყნების ასათვისებლად, რომლებიც ტრადიციულად რუსეთის ზონის ინტერესად ითვლებოდნენ – პეკინი აბანდებს სახსრებს უკრაინისა და ბელარუსის ეკონომიკაში. ჩინელი დიპლომატები საუბრობენ ესენგეს დასავლეთის ქვეყნების მოსვლის შესახებ „სერიოზულად და ხანგრძლივი ვადით".

* * *

**გაეროს უშიშროების საბჭო განიხილავს პალესტინელების განცხადებას დამოუკიდებლობის შესახებ, მათი მომხრეები ევროკავშირში აკეთებენ პროისრაელურ განცხადებებს**

რუსეთმა კვლავ განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს პალესტინას გაეროში შესვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ესპანეთმა, რომელიც ყოველთვის მხარს უჭერდა პალესტინელებს, პირველად აღიარა ისრაელი ებრაელთა ეროვნულ სახლად და მოუწოდა იმოქმედონ ამის შესაბამისად. შუამავალთა „კვარტეტმა" მოუწოდა გაემართათ მოლაპარაკება მოსკოვში, პალესტინელებმა ამაზე უარი განაცხადეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ია სუხიტაშვილი, ზვიად პაპუაშვილი



გოგა ბარბაქაძე



ია სუხიტაშვილი, სანდრო მიქუჩაძე-ღოღანიძე



სცენა სპექტაკლიდან



რობერტ სტურუა, ია სუხიტაშვილი, გია ყანჩელი

## თამაზ ჭილაძის

# „ნადირობის სეზონი“

### დადგმა რობერტ სტურუასი

**რუსთაველის სახელობის თეატრი,**

**23 სექტემბერი, 2011 წელი.**

რობერტ სტურუასთან დაკავშირებით ცნობილი მოვლენის შემდეგ, როდესაც გადაწყდა – რუსთაველის თეატრი ახალ სეზონს გამოჩენილი მწერლის თამაზ ჭილაძის „ნადირობის სეზონით“ გახსნიდა, დიდ რეჟისორს ვესტუმრე და ვთხოვე პირველ რეპეტიციაზე დასწრება. საამაყო, თანაც სატრაბახო მაქვს, რომ მთელი ოთხი საათის განმავლობაში თანამედროვეობის უდიდესი თეატრალური მოღვაწის გვერდით გასუსული ვიჯექი (როგორი საქმეა, ამ დროის მანძილზე ხმა არ ამოიღო) და ისტორიისთვის უნიკალურ კადრებს ვაფიქსირებდი.

პრემიერის დღეს მაყურებლით გადაჭედილ დარბაზში ბატონ რობიკოს კიდევ ერთი შედევრი ვიხილეთ და ეს დღეც ჩვენს მეხსიერებაში დაუვიწყარი იქნება. ერთი ამოსუნთქვით დადგმულმა მართლაც დიდებულმა და ამაღელვებელმა სპექტაკლმა ცოტა ხნით მაინც დაგვავიწყა ჩვენი დღევანდელი გაუსაძლისი ყოფა და ენით აუწერელი სიამოვნება მოგვანიჭა.

იჩქარეთ მეგობრებო, ნახეთ ეს არაჩვეულებრივი ფანტასმაგორია ნიჭიერი მსახიობების შესრულებით და თქვენც მიიღეთ სიამოვნება სპექტაკლით.

ულრმესი მადლობა ბატონ რობერტს, ბატონ თამაზ ჭილაძეს, დადგმაში დაკავებულ ყველა მონაწილეს იმ დიდი სიამოვნებისთვის, მადლიერ მაყურებლს დიდხანს რომ შერჩება.

მჯერა, ბატონი რობიკო კიდევ არაერთ დიდ სიხარულს მიანიჭებს ჩვენს მომთხოვნ და ობიექტურ მაყურებელს.

P. S. კულტურის მინისტრის ცნობილი ბრძანების შემდეგ პრესაში დღემდე ქვეყნდება გამოხმაურებები ბატონ რობერტ სტურუას შესახებ. უნდა ვაღიარო, რომ ამდენი საქებარი სიტყვა, ვგონებ მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში არ თქმულა, გავიფიქრე, შევკრიბო ყოველივე და შთამომავლობას დავუტოვო დოკუმენტური „პიესა“ ერთ წიგნად შეკრული, ყოველივე შეიძლება იმ შემთხვევაში განხორციელდეს, თუ გამოჩნდება ვინმე კეთილი მეცენატი, რომელიც ერთ დღეს მოიკლებს რესტორანში დიდ წვეულებას და გვერდში ამოგვიდგება.

**დემიკო ლოლაძე.**

**ავტორის ფოტო.**

**თამაზ ჭილაძე:**

ეს იყო შესანიშნავი სპექტაკლი, შედევრი, ჩემის აზრით, და კიდევ მეტი – ახალი სიტყვა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. ეს დიდი ტრიუმფალური ფინალი კი არ იყო, იგი დიდებული დასაწყისია ახალი გზის თეატრში, და არა მარტო ქართულ სცენაზე.

ალბათ, რა თქმა უნდა, პიესაზე არ ვამბობ, ვამბობ რობერტ სტურუაზე. ჩემს ნაწარმოებზე უმჯობესია სხვამ ილაპარაკოს.



თამაზ ჭილაძე, რობერტ სტურუა, თემურ ნინუა



სცენა სპექტაკლიდან



ზვიად პაპუაშვილი



სპექტაკლის შემდეგ

### წყალბურთი

## „ლიგამუსმა“ პროგრამა-მინიმუმი შეასრულა



**საწყლოსნო** კომპლექს „ოლიმპიკში“ ოთხ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელთა საკლუბო გუნდებს შორის ევროპის თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პაექრობები. სახელოვან უნგრეთის „ჰონვედს“, საფრანგეთის „ნიცას“, ხორვატეთის „ვკ „მედვეშაკს“, რუსეთის „სანკტ-პეტერბურგსა“ და ჰოლანდიის „დე ჟილ ლეიდენს“ მეტოქეობას უწევდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი“, რომელიც არსებობის სამიოდე წელს ითვლის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გუნდი მთლიანად საქართველოს ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული. შარშან „ლიგამუსმა“ ლენტროფის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გადალახა. მან ევროპის თასზეც მსგავსი შედეგი გაიმეორა: პირველსავე მატჩში სძლია ტიტების ქვეყნის წარმომადგენლებს (11:9), დაუზავდა რუსებსა და ხორვატებს (ორივეს – 10:10), ხოლო ორ მატჩში დამარცხდა – ასპარეზობის ფავორიტ „ჰონვედთან“ – 5:22 და ნიცის „ოლიმპიკთან“ – 8:12. „ლიგამუსმა“ მოაგროვა 5 ქულა (ბურთები: 44:63), დაიკავა მე-4 ადგილი და თასის გათამაშების მე-2 საკვალიფიკაციო რაუნდში გავიდა. საგზურები, ასევე, მოიპოვეს: „ჰონვედმა“ – 15 (81:25), „მედვეჟაკმა“ – 10 (51:36) და „ოლიმპიკმა“ – 9 (51:37) ქულა.

ევროპის თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე 24 გუნდი ითამაშებს. ორთაბრძოლები 8-10 ოქტომბერს გაიმართება, ოღონდ სად, ამას წილისყრა გაარკვევს. მანამდე კი პირველ ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩში რუმინეთს უმასპინძლებს.

**გივი გაგუა**

### ფეხბურთი

## მოზაიკა

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ფუტსალის ევროპის თასის გათამაშების საკვალიფიკაციო რაუნდი საქართველოს, საბერძნეთის, შვეიცარიისა და სლოვაკეთის ჩემპიონთა მონაწილეობით.

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კლუბი „იბერია სთარი“ მეტოქეებს სწორედ ასეთი თანამიმდევრობით შეხვდება, მინსკის „მავიპთან“ დღევანდელი სასტარტო მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს კი საზოგადოებრივი მაუწყებელი 18 საათიდან შემოგვთავაზებს.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო ეტაპზე აღნიშნული ჯგუფიდან ორი უძლიერესი გუნდი ითამაშებს.

* * *

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის VII ტური.** „დინამო“ – „მერანი“ 2:1 (კოშკაძე, ოდიკაძე (პენალტით); რეხვიაშვილი (საკუთარ კარში), „ზესტაფონი“ – „მეტალურგი“ 2:0 (გელაშვილი (პენალტით), დვალი), „ტორპედო“ – „ბაია“ 0:0, „ვიტ ჯორჯია“ – „გაგრა“ 1:0 (ტყეშელაშვილი (საკუთარ კარში), „ცხინვალი“ – „კოლხეთი“ 1:1 (რუხაძე: ჯანაშია), „დილა“ – „სიონი“ 1:0 (ხორგუაშვილი (პენალტით).

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 16, „ზესტაფონი“ – 14, „ბაია“ – 13, „მეტალურგი“, „ვიტ ჯორჯია“ – 11-11, „დილა“, „გაგრა“, „ტორპედო“ – 10-10, „მერანი“ – 8, „კოლხეთი“ – 6, „ცხინვალი“ – 4, „სიონი“ – 2 ქულა.

2 სექტემბერს ითამაშებენ: „სიონი “ – „დინამო“, „ბაია“ – „ზესტაფონი“, „მეტალურგი“ – „დილა“, „ცხინვალი“ – „ვიტ ჯორჯია“, „გაგრა“– „ტორპედო“, „კოლხეთი“ – „მერანი“.

* * *

**იტალია.** „კატანია“ – „იუვენტუსი“ 1:1, „ბოლონია“ – „ინტერი “ 1:3, „მილანი“ – „ჩეზენა“ 1:0, „პარმა“ – „რომა“ 0:1, „ნაპოლი“ – „ფიორენტინა“ 0:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ატლეტიკო“ 5:0, „რეალი“ – „რაიო ვალეკანო“ 6:2, „სევილია“ – „ვალენსია“ 1:0, „სარაგოსა“ – „მალაგა“ 0:0, „ბილბაო“ – „ვილიარეალი“ 1:1.

**ინგლისი.** „სტოკი“ – „მანჩესტერი“ 1:1, „სიტი“ – „ევერტონი“ 2:0, „ჩელსი“ – „სუონსი“ 4:1, „არსენალი“ – „ბოლტონი“ 3:0, „ლივერპული“ – „ვულვზი“ 2:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ლევერკუზენი“ 3:0, „ვერდერი“ – „ჰერტა“ 2:1, „შალკე“ – „ფრაიბურგი“ 4:2, „მაინცი“ – „ბორუსია“ 1:2, „შტუტგარტი“ – „ჰამბურგი“ 1:2.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „ბორდო“ 3:1, „მონპელიე“ – „პსჟ“ 0:3, „ტულუზა“ – „ნანსი“ 1:0, „რენი“ – „სენტ ეტიენი“ 1:1,„ ლილი“ – „ლორიანი“ 1:1.



**რუსეთი.** „ზენიტი“ – „ტომი“ 4:0, ცსკა – „ვოლგა“ 3:1, „კრილია“ – „დინამო“ 1:0, „კრასნოდარი“ – „სპარტაკი“ 2:4, „ლოკომოტივი“ – „რუბინი“ 1:1.

### სამბო



## ბალტიისპირეთის გზა ქუთაისში დაიწყო

**ნოემბერში** ვილნიუსი სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად და ნაკრების ძირითადი ბირთვის შესარჩევად ქუთაისში ჩოხოსანთა ეროვნული ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 172 ფალავანი მონაწილეობდა, მათ შორის ტიტულოვანი მოჭიდავეებიც იყვნენ.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ლაშა ლატარია (ფოთი, 52 კგ), ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი, 57), დავით სვიმონიშვილი (საგარეჯო, 62), ლევან ნახუცრიშვილი (მცხეთა, 68), კახა მამულაშვილი (კასპი, 74), ნიკო კუცია (ფოთი, 82), ლაშა გურული (ქუთაისი, 90), ლომერ ჟორჟოლიანი (მარნეული, 100), ადამ ოქრუაშვილი (თბილისი, +100).

ლიტვაში გამგზავრებამდე ნაკრების წევრები დუშეთში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას.

**ლაშა დიდია**

### ჩოგბურთი

## „ბათუმის ნავთობტერმინალი“ უკრაინელს ერგო

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ერთი კვირის წინათ საერთაშორისო ტურნირის – „საქართველოს თასის“ (საპრიზო ფონდი – 10 000 ამერიკული დოლარი) ლია გათამაშების



ფინალში ქართველი ჩოგბურთელები – თათია მიქაძე და სოფიო ქვაცაბაია დაუპირისპირდნენ ერთმანეთს (პირველი პრიზი მიქაძეს ხვდა). ისინი წყვილთა თანრიგში ერთად გამოდიოდნენ და პირველობაც არავის დაუთმეს. აი, „ბათუმის ნავთობტერმინალის თასის“ გათამაშება (საპრიზო ფონდი – 25 000 დოლარი) კი ჩვენთვის უიღბლოდ დასრულდა: სოფიკო შაფათავა, თათია მიქაძე და ეკატერინე გორგოძე პირველსავე წრეში დამარცხდნენ, ხოლო სოფიო ქვაცაბაიამ ტრავმის გამო მეოთხედფინალში დატოვა კორტი.

მთავარი პრიზი ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ლესია ცურენკომ (უკრაინა) მოიპოვა. მან ნახევარფინალში იოლად დაჯაბნა ამერიკელი იულია კოენი (6:0, 6:3), ფინალში კი უნგრელ რუკალუკა იანის აჯობა – 7:6, 6:3. წყვილთა პაექრობაში ბურიაჩოკ (უკრაინა) – იანის (უნგრეთი) დუეტმა გადამწყვეტი ორთაბრძოლა ბოგდანსა (რუმინეთი) და კოჩბენვენუტოს (ჩილე) მოუგო.

„ბათუმის ნავთობტერმინალის“ მონაწილეებმა თელავში გადაინაცვლეს, სადაც 50-ათასიან საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ.

**ლექსო ცინცაძე**

### სუმო

## ქართული შემოდგომა იაპონიაში



**სექტემბრის** აკი ბაშომ ქართველ სუმოისტებს მართლაც რომ ტკბილი მოსაგონარი დაუტოვა – სამივემ დადებითი ბალანსით დაასრულა ორკვირიანი მარათონი და ელიტაში პოზიციები შეინარჩუნა.

მეტიც – მათგან საუკეთესომ, უმძიმესმა რიკიშიმ გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი) „მებრძოლი სულის“ პრიზი დაიმსახურა (11-4) და მნიშვნელოვანი სარეიტინგო წინსვლაც გაინაღდა.

აქვე გაგაცნობთ დანარჩენ ჩვენს თანამემამულეთა მონაგარსაც: კოკაი (ლევან ცაგურია) – 9-6, ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) – 8-7.

რაც შეეხება იმპერატორის თასს, მისი მფლობელი მეოცედ(!) გახდა ლეგენდარული იოკოძუნა, „დიდი მონღოლი“ ჰაკუჰო (13-2).

### რაგბი

## დედა, რა იყო ეს!

**მორჩა,** დაზვერვა და ძალების დაზოგვა დასრულდა და ახალ ზელანდიაში, მეშვიდე მსოფლიო თასზე ნაღდი რაგბი გაჩაღდა.

მაგალითად, არგენტინისა და შოტლანდიის ომში, კოკისპირულ წვიმაში რომ გაიმართა, გამარჯვებულის ვინაობა 73-ე წუთზე გაირკვა, როცა სარბიელზე შემცვლელად შესულმა ამბროზინომ ბრიტანელთა ჩათვლის მოედანზე ლელო დადო, კონტეპომმა კი რეალიზაცია გამოიყენა – 13:12 არგენტინელთა სასარგებლოდ. ასე რომ, დასკვნით ტურში ქართველ „ბორჯღალოსნებთან“ ბონუსქულის (4 ლელო) მოპოვების შემთხვევაში სამხრეთამერიკელები პლეი-ოფში გააღწევენ, სქოთებმა კი საამისოდ, არც მეტი, არც ნაკლები, უპრინციპულეს მეტოქეს – ინგლისს უნდა მოუგონ ბრძოლა.



ვიდრე ზემოთნახსენები საქართველო – არგენტინის დუელი მოეწყობა (2 ოქტომბერი), ხვალ ჩვენი გუნდი ამავე „ბ“ ჯგუფში მისთვის უმთავრეს ჯახში რუმინეთს შეებმება და წარმატების წილ წლევანდელი ფორუმის პროგრამა – მინიმუმს – ჯგუფში IV ადგილის დაკავებას შეასრულებს.

თვალსასეირო და საინტერესო სხვა ჯგუფებშიც ბევრი მოხდა და ხდება. საილუსტრაციოდ მასპინძელთა და ფრანგთა ტოპ-შერკინებას („ა“ ჯგუფი) დავასახელებთ, რომელშიც, დიმიტრი იაშვილის შედეგიანი თამაშის მიუხედავად, „სამფეროვნებმა“ კრახი განიცადეს – 17:37.

ირლანდია – რუსეთი 62:12, სამოა – ფიჯი 27:7, უელსი – ნამიბია 81:7.

### ავტოსპორტი

## იგი უკვე მილოცვებს იღებს

**ერთი** ქულაც და „რედ ბულის“ გერმანელი პილოტი სებასტიან ფეტელი ზედიზედ მეორედ გახდება „ფორმულა“-1“-ის გვირგვინოსანი.

ეს, ალბათ, ორ კვირაში იაპონიის გრან-პრიზე მოხდება, მანამდე კი სინგაპურის დიდ პრიზზე (XIV ეტაპი) მოგებული მიჯრით მესამე რბოლით მოქმედმა ჩემპიონმა დიდი ნაბიჯი გადადგა მორიგი ტრიუმფისკენ.

პოდიუმზე ფეტელს მხარი ჯენსონ ბატონმა („მაკლარენი“, ინგლისი) და თანაგუნდელმა მარკ უებერმა (ავსტრალია) დაუმშვენეს.

ლიდერთა ჯგუფი: ფეტელი – 309, ბატონი – 185, ფერნანდო ალონსო („ფერარი“, ესპანეთი) – 184, უებერი – 182, ლუის ჰემილტონი („მაკლარენი“, ინგლისი) – 168 ქულა.



კონსტრუქტორთა თასი: „რედ ბული“ – 491, „მაკლარენი“ – 353, „ფერარი“ – 268 ქულა.

## გამოსათხოვარი

# კაცურად განვლილი გზა



## დავით ნაკანის ხსოვნას

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან დავით ვარდენის ძე ნაკანი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი, მაღალი რანგის პროფესიონალი, ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი და უანგარო მსახური, ულალატო მეგობარი, მოყვარული მეუღლე, მამა და ბაბუა.

დაიბადა მესტიაში 1949 წლის 27 თებერვალს, ინტელიგენტების ოჯახში. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1966 წლიდან სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1971 წელს; მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტში, ხოლო 1973-76 წლებში სწავლობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც 1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია წყლის ეკოლოგიის სპეციალობით. იყო ამავე უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, სტატია და მოხსენება 40-მდე სამეცნიერო კონფერენციაზე, მ. შ. 20-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაზე. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა 12 აგროეკოლოგიური ბროშურა, მომზადდა 5 სამეცნიერო-პოპულარული ფილმი, 30-ზე მეტი შემეცნებითი სატელევიზიო გადაცემა.

დავით ნაკანი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ბუნების დაცვის სისტემაში – სახელმწიფო კომიტეტის უფროს ინსპექტორად, მეცნიერების განყოფილების გამგედ, წყლის რესურსების დაცვის რესპუბლიკური ინსპექციის უფროსად, გარემოს დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსად. 1991-1992წწ. საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრია; 1993-95წწ. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მმართველის მოადგილე. 1995-2000წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე; შემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფერმერული მეურნეობებისადმი დახმარებისა და აგროეკოლოგიის მსოფლიო ბანკის პროექტებს. მისი სამეცნიერო მოღვაწეობისა და სახელმწიფო სამსახურის ძირითადი მიმართულება ყოველთვის იყო გარემოს დაცვა და ქვეყნისათვის ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების საფუძვლების შექმნა.

მას წილად ხვდა პატივი 1991 წელს გამხდარიყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი გარემოს დაცვის მინისტრი და ქვეყანაში პირველად (ადრე არსებული სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე) ჩამოეყალიბებინა ინსტიტუციურად და ფუნქციურად გამართული სამინისტრო; გარემოს დაცვის ნორმირების, დაგეგმვის, რეგულირების, მართვისა და კონტროლის ერთიანი სახელმწიფოს სისტემა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა და ეროვნული მთავრობის მიერ დამტკიცდა „საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნური კონცეფცია", შემოღებულ იქნა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოზე ზემოქმედების ნორმირება; დაწესდა დიფერენცირებული გადასახადები ბუნებრივი რესურსების ნორმატიულ და ზენორმატიულ გამოყენებაზე, აგრეთვე გადასახადები გარემოს დასაშვები ნორმატიული დაბინძურებისათვის და ჯარიმები – ზენორმატიული დაბინძურებისათვის. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას ხელმძღვანელობდა დარგში კადრების მომზადებისა და გადამზადების, მეცნიერული უზრუნველყოფისა და ბუნებათსარგებლობის მიმართულებებს, სურსათის ხარისხის მართვის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, საოკეანო და საზღვაო თევზჭერის, სასოფლო ტყეების მოვლა-პატრონობის და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებს. ყველგან, სადაც მუშაობდა, შეძლო მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინა შესაბამისი პროფილის საერთაშორისო, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან, დარგში მსოფლიო პოლიტიკის წარმმართველ სტრუქტურებთან. იგი, როგორც საქართველოს მთავრობის წევრი, 1991 წლის 9 აპრილს ხელს აწერს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს" და ქვეყნის სუვერენიტეტის ისტორიაში პირველად – „შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის საერთაშორისო კონვენციას". ამას იგი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპებად მიიჩნევდა; თვლიდა, რომ ძალიან გაუმართლა მასწავლებლებში და უახლოეს ადამიანებში, ვისგანაც ისწავლა კაცობა, სამშობლოს სამსახური, განათლებულობა, ინტელექტისა და ერუდიციის პატივისცემა, მიზანდასახულობა, პრინციპულობა, დიდსულოვნება, ადამიანებთან ურთიერთობის უმაღლესი გაკვეთილები. თავისი ცხოვრებით დავით ნაკანი თვითონ იყო ამ ყველაფრის საუკეთესო ფორმითა და შინაარსით გამოვლენის ნიმუში. სწორედ ამით იმსახურებდა იგი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას გარშემომყოფთა შორის.

მას იცნობდნენ და დიდ პატივს მიაგებდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო ბანკში, ამერიკულ და ევროპულ უნივერსიტეტებში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებაში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და სამეცნიერო წრეებში.

მან დატოვა შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე – ნინო იმნაძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ვაჟიშვილები, უფროსი ოთარი, მუშაობს გერმანიაში საერთაშორისო კომპანიის გენერალურ დირექტორად, უმცროსი – გიორგი, საერთაშორისო კომპანიის თბილისის სამსახურის უფროსად. რძლები და შვილიშვილები.

განუსაზღვრელია დავით ნაკანის ბავშვობის, სწავლისა და სამსახურის მეგობრების მწუხარება. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ერთგული, წესიერებითა და სიკეთით აღსავსე, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომი საყვარელი ადამიანი.

სვანეთის ნიჭიერი და ღვაწლმოსილი შვილების ზეციურ კოჰორტას კიდევ ერთი მამულიშვილი შეემატა; ოჯახსა და შთამომავლობას შეუძლია იამაყოს მისი სახელით, მის მიერ კაცურად განვლილი ცხოვრების გზით.

**მეგობრები**

## გახსენება

# აკადემიკოსი გივი სვანიძე



90 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ მეცნიერს, სტოქასტური ჰიდროლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელსა და საქართველოში ამ დარგის დამაარსებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ხალხთა მეგობრობის და ღირსების ორდენების კავალერს გივი სვანიძეს.

ბატონმა გივიმ დაძაბული შრომითა და ბრწყინვალე მეცნიერული გამარჯვებებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო. თავისი დიდი ნიჭის, სამაგალითო შრომისმოყვარეობისა და საოცარი ჰუმანურობის წყალობით ყველგან, სადაც კი უხდებოდა მოღვაწეობა, მან დატოვა დაუვიწყარი და ნათელი სახელი. გივი სვანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად განისაზღვრებოდა ჰიდროლოგიის, ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის პრობლემებით. გ.სვანიძე ავტორია 270 დაბეჭდილი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის 15 მონოგრაფიისა, რომლებიც ეხება მდინარეული ჩამონადენის რეგულირების ამოცანებს, საქართველოს წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას, ჰიდროლოგიური რიგების მათემატიკურ მოდელირებას, საშიშ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებს კავკასიაში, ამიერკავკასიის წყლის რესურსებს, საქართველოს განახლებად ენერგორესურსებს და სხვა.

გ. სვანიძე 1971-1998 წლებში ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰიდროლოგიის კათედრას, ხოლო 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტს. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოში ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა განვითარებაში. ბოლო წლებში გ.სვანიძე აქტიურად მონაწილეობდა კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებულ სამუშაოებში. მისი თაოსნობით შესრულდა საქართველოს ეროვნული მოხსენების ნაწილი, მიძღვნილი წყლის რესურსების სამომავლო მდგომარეობის შესწავლისადმი. ამ წლებში ის იყო აგრეთვე იუნესკოსთან არსებული საქართველოს ჰიდროლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი და მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მრჩეველი ჰიდროლოგიაში.

გ.სვანიძის ხელმძღვანელობითა და კონსულტანტობით დაცულია 40-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პირველი ვიცე-პრეზიდენტი, აშშ-ის და პოლონეთის გეოფიზიკურ საზოგადოებათა წევრი.

დიდი მეცნიერის, სამაგალითო კოლეგისა და ბრწყინვალე ადამიანის – აკადემიკოს გივი სვანიძის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი.**

---



მეუღლე ლუდმილა ლევჩენკო, შვილები ირინა, ნატალია, ძმა რევაზი, რძალი მარგალიტა ნადირაშვილები, შვილიშვილები ლია ვერულაშვილი, ნინო, დავით გეგეშიძეები, შვილთაშვილები ანა, ირაკლი, ნიკოლოზ ვერულაშვილები, ნატალია, ალექსანდრე კალანდარიშვილები, მძახალი ელენე ბიბილაშვილი, ძმისწულები და უახლოესი ნათესავები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საპატიო რკინიგზელი, ომისა და შრომის ვეტერანი, მედლებისა და სიგელების მფლობელი, საქართველოს რკინიგზის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი

**აკაკი სპირიდონის ძე ნადირაშვილი**

პანაშვიდი 27, 28 IX, 17 სთ. გამოსვენება 29 IX, 14 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ჭოპორტის ქ. 5 (სანზონა), მე-2 სად. მე-3 სართ.

---

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის

**ვაჟა გელაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს გურამ ქარქაშაძეს, დალი და იოსებ თავშავაძეებს მეუღლისა და მძახლის

**ნელი იონას ასულ კუბლაშვილი-ქარქაშაძისას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი ნატა იაშვილი, სიძე თემურ ანდრიაძე, შვილიშვილები ია, მარიამ, ირაკლი ანდრიაძეები, სიძე გიორგი ჩიქოვანი, შვილთა შვილები კონსტანტინე, ცოტნე ჩიქოვანები იუწყებიან

**ცეცილია იაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 IX, დაკრძალვა 29 IX, 14 სთ. მისამართი ყიფშიძის ქუჩა 16 ბ.

---

ციალა და ირაკლი ანდრიაძეები იუწყებიან მძახლის

**ცეცილია იაშვილის**

გარდაცვალებას.

---

გივი კვიჭიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი ადამიანი

**ცეცილია იაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

---

ჯემალ გაგუნაშვილი ოჯახით უთანაგრძნობს ქალბატონ ნატა იაშვილ-ანდრიაძისას დედის, უსათნოესი ქალბატონის

**ცეცილიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს.

## დაიჯესტი

### ეცადეთ სხვებს მოეწონოთ და არა საკუთარ თავს



ტელერეკლამა, სერიალები, პრიალა ჟურნალები და ათასი სხვა მსგავსი რამ ქალბატონების გონებას სტერეოტიპებით „ბინდავს“, რომლებსაც ფსიქოლოგები მავნედ მიიჩნევენ.

გავრცელებული აზრის მიუხედავად, მამაკაცები გამუდმებით სექსზე სულაც არ ფიქრობენ. თავდაპირველად, გაცნობის პირველ ხანებში, ეს, შესაძლოა, მართლაც ასე იყოს, მაგრამ როცა ურთიერთობა სტაბილური ხდება, მამაკაცებს, ვითარებისდა შესაბამისად, განწყობის პიკები და ჩავარდნები აქვთ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ზედმეტად ეგზალტირებული ქალბატონი ხშირად ვნებებით ალსავსე სასიყვარულო სცენებს საკუთარ თავზე „ირგებს“, რაც ხშირად იმედგაცრუების საბაბი ხდება. ამიტომ ისინი ჭარბ მომთხოვნელობასთან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მას ჰარმონიული ურთიერთობების დანგრევა შეუძლია. კვირაში 3-4-ჯერ სექსის „ულუფა“ ახალგაზრდა ჯანმრთელი მამაკაცისთვის საშუალო სტატისტიკური ნორმაა, მაგრამ არსებობს კიდევ პირადული, ინდივიდუალური მოთხოვნა, რასაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ კითხვაზე, თუ როგორი ქალები მოსწონთ მამაკაცებს, ერთნიშნა პასუხი არ არსებობს. თუმცა ერთი რამ ცხადია: მამაკაცთა ნახევარს მაინც (ისე კი, ალბათ, გაცილებით მეტს!) უფრო „ლამაზი ფორმების“ მქონე ქალები მოსწონს. ამიტომ, როცა ქალბატონები პრიალა ჟურნალებიდან ცდილობენ თავიანთი სხეულის „გამოძერწვას“, ისინი უფრო საკუთარი პერსონისთვის თავის მოწონებას ცდილობენ, ვიდრე მამაკაცებისთვის. ქალბატონებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ გამომწვევი ფორმების სხეული ხშირად მათი მფლობელის დაბალი სექსუალურობის ნიშანია.

### სახალისო სიახლე

„ბიქემპერ ტენტი“ — ასე უწოდეს ფირმა „ტოპეკის“ მიერ ცოტა ხნის წინათ გამოშვებულ კა-




რავს. მოკეცილი კარავი ველოსიპედის საჭეზე მაგრდება, ბანაკის ადგილზე მისულ ტურისტს კი მხოლოდ ისლა რჩება, რომ „რკინის რაშს“ წინა ბორბალი მოხსნას და ღერძის მაგივრად საგანგებო საყრდენი დააყენოს, რომელიც ველოსიპედს ვერტიკალურად გააჩერებს. გარდა ამისა, კარვის გაშლას კიდევ სამი მარტივი ოპერაცია სჭირდება. სიახლეს ორი ღირსება აქვს, აღნიშნავენ სპეციალისტები. პირველია ის, რომ კარავი დიდად სასაცილო შესახედია, მეორეც ის, რომ როცა კარავში პატრონს სძინავს, მისი მოპარვა რთული საქმეა.

### პაკარდის ჯადოსნური საათი

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული საათი შვეიცარიული ფირმის „პაკეტ ფილიპის“ მუზეუმის საკუთრებაა, რომელიც ხელოსნებმა საავტომობილო მაგნატის ჯეიმს პაკარდის დაკვეთით ეს ეგზემპლარი 1922 წელს... თავადვე დაამზადეს!



იმ დროისთვის ეს საათი საოცრებას წარმოადგენდა: იგი ციურ ცთომილთა ფაზებს, მზის ჩასვლა-ამოსვლის და ცალკე მთვარის დროს, ნაკიან წლებსა და უამრავ სხვა რამეს აჩვენებდა და აღრიცხავდა. ცისფერი მინანქრით საგანგებოდ დაფარულ ნახევარსფეროზე მილიონერს ვარსკვლავიანი ცის დაკვირვება შეეძლო. მაშინ საათი 16 ათასი დოლარი ღირდა, რაც სადღეისო კურსით ნახევარ მილიონ დოლარამდეა!

### მეგობრობა... კრაზანების წინააღმდეგ



კრაზანაზე საზიზღარი არსება, ყოველ შემთხვევაში, ცხენების აზრით, ბუნებას არ შეუქმნია. ამ მხრივ ავსტრალიური კრაზანები გამონაკლისს არ წარმოადგენენ და ამას არც ყურების ბარტყუნი, არც თავის ქნევა შველის. გამწარებულმა ცხოვრებამ და ამ საკითხისადმი მეპატრონის გულგრილობამ გონიერი ცხენი ჯო ერთ საგულისხმო დასკვნის გამოტანამდე მიიყვანა: მან შენიშნა, რომ პატრონის კატის კნუტი ვილი კრაზანებს სასტიკად უსწორდება. ამის შემდეგ ჯო საძოვარზე ფეხს არ ადგამს, ვიდრე ვილი დრუნჩზე არ აახტება.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ბოლივიელ ფეხსაცმელების მწმენდავებს თეთრი საყელოს გარეშე მუშაობას კანონი უკრძალავს, რადგან თაკარა მზეზე მუშაობისას, როდესაც კისერი დაუცველია, ამ პროფესიის ადამიანებს ხშირად უჩნდებათ კანის კიბო.

● ამერიკის პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი ჭირის დღესავით სძულდათ გაზეთებში მომუშავე მხატვრებს, რადგან მას ისეთი უბრალო და არაფრით გამორჩეული ფიზიონომია ჰქონდა, რომ ძალზე ჭირდა მისი შარჟებისა და კარიკატურების შექმნა.

● ებრაელთა მტკიცებით, ბედნიერია რიცხვი ბევრი ნულით.

● ქალაქ ბუდაპეშტში ერთ-ერთი ტაძრის ეზოში ამავე ტაძრის 1,5 მ სიმაღლის ზუსტი ასლი დგას და ის განკუთვნილია უსინათლოთათვის, რადგან მათ შეეძლოთ, ხელით შეეხონ მას და ამ გზით შეიგრძნონ ტაძრის სილამაზე.

● შვეიცარიაში ერთ-ერთი სასტუმროს შეფ-მზარეულს ხორცის საკეპ მანქანაში თითი ჩაჰყვა, რის შედეგადაც სადაზღვევო კომპანიაში განაცხადი გააკეთა. კომპანიამ ეჭვი აიღო, რომ მზარეულმა ეს განგებ ჩაიდინა და ფაქტის ადგილზე შესამოწმებლად წარმომადგენელი გაგზავნა. მან ხორცის საკეპი მანქანა მუშაობის პროცესში შეამოწმა და თვითონაც თითი დაკარგა, რის შემდეგაც მზარეულის მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

● საუდის არაბეთში მოსამართლემ განსასჯელს 2 ბოთლი შოკოლადის ლიქიორის შეძენისთვის 75-ჯერ წკეპლის დარტყმა მიუსაჯა.

● პირველი მუზეუმი ინგლისში 1683 წელს გაიხსნა ოქსფორდის უნივერსიტეტში. დამთვალიერებლები გადასახადს მუზეუმიდან გამოსვლის შემდეგ იხდიდნენ, თუმცა ეს გადასახადი ყველასთვის განსხვავებული იყო, რადგანაც ის დამოკიდებული იყო მუზეუმში გატარებული დროის რაოდენობაზე.

● სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ძველად მდიდრები გაცილებით დღეგრძელნი იყვნენ, ვიდრე ღარიბები და უუფლებონი. მაგალითად, ძველ რომში ქურუმთა საშუალო ასაკი 58 წელი იყო, მონებისა კი — 18, მაგრამ არის გამონაკლისიც, როცა შუა საუკუნეების მეფეები საშუალოდ მხოლოდ 50 წლამდე ცოცხლობდნენ, მაგრამ იყვნენ დღესაც არსებული პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს ნახევრად ლატაკები მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა კი 61 წელი იყო, — ეს პროფესია იყო მსახიობები და ხელოვნების წარმომადგენლები.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**განცხადება**

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია — უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

## კადრი



## ანეკდოტები

მეთაურმა ოცეული ხაზზე დააყენა.
— რიგითო გოლიაძე, გამოდი მწყობრიდან!
გოლიაძე გონწასული გაიშხლართა მიწაზე.
— რა მოუვიდა? — იკითხა მეთაურმა.
— მგონი, ვააბშე მწყობრიდან გამოვიდა, — უპასუხა რიგითმა ბანძელაძემ.

* * *

„ტიტანიკი“ ჩაიძირა, ოკეანის ზედაპირზე აქა-იქ გადარჩენილი მგზავრები ტივტივებენ, ზოგი რას მოსჭიდებია და ზოგიც — რას. უეცრად ნავი გამოჩნდა, რომელზეც დედაბერი შემოსკუპებულა, ნიჩბებს უსვამს და გაიძახის:
— აბა, ცხელი ხაჭაპური, სიგარეტი, კოკა-კოლა, წინდებიიიი!

* * *



ისეთ მცირე ანაზღაურებას მთავაზობთ, შეიძლება, ცოლიც ვერასდროს შევირთო! — შესჩივის ვაკანსიის მაძიებელი შეფს.
— მესმის თქვენი. — ულიმის უფროსი, — არადა, მოვა დრო და შეიძლება ამისათვის მადლობაც მითხრათ.

* * *

განცხადება სვანებისთვის: „გვჭირდება მუშები. ანაზღაურება ფულით“.

* * *

დიდი ხნის უნახავი ქართველი, რუსი და ებრაელი ნაცნობები ერთმანეთს შეხვდნენ. ქართველი ამბობს:
— ბიჭო, მოდი, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ. მე გავიქცევი და პურ-მარილს მოვიტან!
რუსმა თქვა:
— მე კი არაყს მოვიტან!
ებრაელი:
— რადგანაც ყველაფერი გაქვთ მაშინ მე წავალ და ჩემს ძმას მოშეს მოვიყვან!

* * *

მიტუა მასწავლებელი ამბობს:
— ბავშვებო, ხვალ საკონტროლო გექნებათ და ყველანი მოდით!
მიხო წამოდგა და მასწავლებელს ეუბნება:
— სექსუალურად მოთენთილი რომ ვიყო?
— არა უშავს, მიხო, მეორე ხელით დაწერ!
— უპასუხებს მასწავლებელი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24